შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №10, დეკემბერი, 2011.

გილოცავთ დამდეგ 2012 წელს!

ახალი წარმატებებისთვის ვემზადებით

სულ რამდენიმე დღეც და 2011 წელი ისტორიის კუთვნილებად იქცევა – კარს ახალი, 2012 შემოაღებს.

ვაფასებთ რა განვლილ წელს, ვთვლით, რომ იგი წარმატებული გახლდათ. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წარმატებით გაიარა აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესი, რითაც თავისი ღირსეული ადგილი განიმტკიცა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. უნივერსიტეტის სამეცნიერო და სასწავლო პროცესის წარმატებულად განხორციელების მიზნით ხელშეკრულებები გაფორმდა აჭარის რეგიონის

თითქმის ყველა სახელმწიფო დაწესებულებასთან, სადაც ჩვენი სტუდენტები გაივლიან სტაჟირებასა და პროფესიულ პრაქტიკას, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ დაოსტატებას.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა საქართველოს სხვადასხვა სასწავლებელსა და კვლევით ინსტიტუტთან. აგვისტოს თვიდან მიმდინარეობს მზადება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად განათლების ადმინისტრირების საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამის ჩვენს უნივერსიტეტში განსახორციელებლად, რაც, დამერწმუნებით, წინ გადადგმული ნაბიჯი გახლავთ.

2011 წელს ჩვენს უნივერსიტეტში ამოქმედდა ERASMUS MUNDUS-ის მეორე პროგრამა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანისათვის (ლოტი7), რომლითაც ALPAK-ის კონსორციუმში ევროპის ქვეყნების ექვს უნივერსიტეტთან ერთად შევედით. ეს კიდევ ერთ შანსს აძლევს ჩვენს სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს ევროპული განათლების მისაღებად.

საერთაშორისო ასპარეზზე მნიშვნელოვანი გახლდათ სხვადასხვა ევროპულ უნივერსიტეტთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობითი ხელშეკრულებები: კერძოდ, მემორანდუმები გაფორმდა გერმანიის, ნორვეგიისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების სხვადასხვა უნივერსიტეტთან და სასწავლო დაწესებულებებთან.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ სწორედ 2011 წელს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიენიჭა „რეგიონალური სახელმწიფო უნივერსიტეტის ეტალონის“ საპატიო ტიტული, რაც მისი 77-წლიანი მოღვაწეობის კიდევ ერთი აღიარებაა.

სასწავლო-სამეცნიერო პროცესების ეფექტურად მართვის, ინფორმაციის დროულად მიწოდებისა და კოორდინირების მიზნით საინფორმაციო-ტექნოლოგიური სამსახურის მიერ თითოეული სტუდენტისა და აკადემიური პერსონალისათვის შეიქმნა ელექტრონული ფოსტა.

2011 წელს უნივერსიტეტში წარმატებულად წარიმართა სასწავლო პროცესი. პროფესორ-მასწავლებელთა მიერ შედგა არაერთი სახელმძღვანელო და საინფორმაციო მასალა ქართულ ენაზე. შეიქმნა საგამოცდო ტესტების ერთიანი ბაზა, რაც გამოცდების კომპიუტერიზებული სახით ჩატარების საფუძველი გახლდათ.

გარდა სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობისა, უნივერსიტეტი აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა სამთავრობო ღონისძიებაში და ხშირად თავად გახლდათ მნიშვნელოვანი წამოწყებების ორგანიზატორიც. 2011 წელს გაიმართა საბჭოთა ოკუპაციის 90 წლისადმი მიძღვნილი კვირეული, აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ღია კარის დღეები, სხვადასხვა საგანმანათლებლო ტრენინგი. ამავე წელს წარვუდგინეთ საგანმანათლებლო პროგრამები დამსაქმებლებს. უნივერსიტეტი საზაფხულო სკოლებისა და სამეცნიერო კონფერენციების მასპინძელიც გახლდათ. განსაკუთრებულად აღინიშნა დედამიწისა და შავი ზღვის კვლევის საერთაშორისო დღე. 2011 წელს ჩატარდა „სტუდენტური დღეები 2011“ და „ უნივერსიადა 2011“.

ჩვენი უნივერსიტეტი არც ღვაწლმოსილ ადამიანებს ივიწყებს, იმართება მათი იუბილეები და აუდიტორიებს ენიჭება მათი სახელები, რაც მომავალი თაობებისათვის ღირსეული მაგალითი გახლავთ.

მიუხედავად ამისა, ჩვენ არ ვჯერდებით მიღწეულს და ახალი წარმატებებისათვის ვიბრძვით. 2012 წელი უპირველესად სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის ხარისხის ამაღლებისა და ინტერნაციონალიზაციის წლად გამოცხადდება, რისთვისაც დასრულდება საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა. სტუდენტთა სასწავლო და სამეცნიერო მუშაობისათვის საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო მიმართულებებში, შეიქმნება ლაბორატორია, რომელიც აღიჭურვება თანამედროვე ხელსაწყოებითა და აპარატურით.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ მთავარი მაინც თითოეული ჩვენგანის ურთიერთთანამშრომლობაა, რაც ჩვენი მშობლიური უნივერსიტეტის წარმატების საფუძველია.

მინდა გულითადად მივულოცო დამდეგი შობა-ახალი წელი შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, თითოეულ თანამშრომელს, თანაქალაქელებსა და სრულიად საქართველოს. გისურვებთ მშვიდობას, წარმატებებსა და გამარჯვებებს. უფალი გფარავდეთ თქვენ და თქვენს ოჯახებს!

რსუ-ს რექტორი, პროფესორი

ალიოშა გაკურიძე

მიხეილ მახარაძე – ფილოსოფია ინტელექტუალური კომფორტია

გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტის“ სტუმარია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მიხეილ მახარაძე.

ცოტა რამ მისი ბიოგრაფიიდან

მიხეილ მახარაძე დაიბადა 1946 წლის 13 ნოემბერს, ხულოს რაიონში, მასწავლებლის ოჯახში. 1965 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე ფილოსოფიის სპეციალობით, რომელიც დაამთავრა1970 წელს. 1970 წლის ნოემბრიდან 2011 წლის 8 ივლისამდე მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტში. 1994-2006 წლებში იყო ქართული ფილოსოფიის ისტორიის განყოფილების გამგე, 2007-2010 წლებში ფილოსოფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. 1989 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე — «არეოპაგიტიკის ფილოსოფიური შინაარსი». 2000 წელს აირჩიეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად.

მიხეილ მახარაძის მეცნიერული კვლევა-ძიების მთავარი სფეროებია: ქართული და შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია, რენესანსისა და ჰუმანიზმის საკითხები, კულტურის ფილოსოფიის პრობლემები. ამ თემებზე გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, მათ შორის, 9 მონოგრაფია. მთავარი შრომებია: «არეოპაგიტიკის ფილოსოფიური წყაროები» (თბ., 1983), „არეოპაგიტიკის ფილოსოფიური პრობლემები» (თბ., 1986), „Философское содержание ареопагитики» (Тб.,1991); „ძიებანი ქრისტიანული ფილოსოფიის ისტორიაში» (თბ., 1999), „რენესანსი, ჰუმანიზმი და XI-XII სს-ის ქართული კულტურა» (თბ., 2003), „რენესანსი, ჰუმანიზმი და ქართული რენესანსის საკითხები» (2009) და „არეოპაგიტიკა“ (2011). მასვე ეკუთვნის პოპულარული წიგნები ფილოსოფიაში: „ წერილები ქართულ ფილოსოფიაზე» (1988), „ფილოსოფია მოზარდთათვის» (გამოიცა სამჯერ — 2001, 2002, 2003 წწ.) და „ფილოსოფია, პოლიტიკა, მცირე პროზა» (2004). იგი არის აგრეთვე, არაერთი ლიტერატურული კრებულისა და თარგმნილი ნაწარმოების ავტორი. მან ქართულად თარგმნა და გამოაქვეყნა ვლ. სოლოვიოვის „მუჰამედი» (2000; მე-2 გამოცემა 2005 წ.) და ა. ლოსევის „აღმოსავლური რენესანსი» (2005).

მიხეილ მახარაძის ხელმღვანელობით მომზადდა და გამოიცა ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ოთხტომეული (1986-2010წწ).

მიხეილ მახარაძე მიმდინარე წელს იუბილარი გახლდათ. იგი არის სახელმწიფო, შალვა ნუცუბიძის სახელობითი და ეროვნული პრემიების ლაურეატი.

გაზეთი „ბათუმის უნივერსიტეტი“ გულწრფელად ულოცავს ბატონ მიხეილს 65 წლის იუბილეს, უსურვებს წარმატებულ შემოქმედებით და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

მიხეილ მახარაძე ამბობს, რომ ახალგაზრდების ყოველთვის ესმის და ცდილობს, მათ გაუგოს. მიაჩნია, რომ ფილოსოფია ინტელექტუალური კომფორტია. მისივე თქმით, თუ ერი ფილოსოფიაში განსწავლულია, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ბატონი მიხეილის წინასაახალწლო სურვილიც ქართველ ერს დასტრიალებს — საქართველო გამთლიანებულიყოს, ოღონდ ისე, რომ ერთი ბეღურაც არ დაგვეკარგოს.

— **ბატონო მიხეილ, როგორ შეაფასებთ 2011 წლის უმაღლესი საბჭოს მუშაობას?**

— პირველ რიგში 2011 წელი აღსანიშნავია იმით, რომ ამ მოწვევის უმაღლესი საბჭოს წინა წელია. მომავალ შემოდგომაზე არჩევნები ტარდება. თუ რაიმე საგანგებო საკითხი არ გახდა განსახილველი, საგაზაფხულო სესიის დამთავრების შემდეგ მეტ სხდომას აღარ მოვიწვევთ. მერვე წელია უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვარ და ამდენი ინიციატივით საქართველოს პარლამენტისთვის ჯერ არ მიგვიმართავს, ამიტომ ამ წელს ამ მხრივაც გამოვარჩევდი. საინტერესოა ისიც, რომ ზოგიერთი ინიციატივა დეცენტრალიზაციისკენ არის მიმართული. ზემო აჭარაში, რვაკლასიანი სკოლის დირექტორსაც კი საქართველოს განათლების სამინისტრო ნიშნავს, ასევეა ჯანდაცვაშიც — ექთნის დანიშვნაც კი საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს პრეროგატივაა. ეს აუცილებლად უნდა მოწესრიგდეს.

ეს წელი უმაღლესი საბჭოსთვის ტერიტორიული მდებარეობის თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი იყო. 2011 წლის ივნისის დასაწყისიდან გამსახურდიას 8 ნომრიდან დროებით ე.წ. გოროდოკის დასახლებაში, ყოფილი მეხუთე საჯარო სკოლის შენობაში გადმოვედით. ამჟამად ჩვენი სამსახური თითქმის უმაღლესი საბჭოს ახალ შენობაში, დაბა ჩაქვშია გადასული. ვფიქრობ, ესეც საქართველოში დამკვიდრებული ახალი საერთო ტენდენციის ნაწილია. მოგეხსენებათ, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ბათუმში, საქართველოს პარლამენტი ქუთაისში გადადის, რამდენიმე წელია ქუთაისშია ენერგეტიკის მარეგულირებელი საბჭო და სხვ. უმაღლესი საბჭოს ქალაქგარეთ გადასვლა ქალაქის განტვირთვის მხრივაც მნიშვნელოვანია. აქვე საინტერესოა ისიც, რომ ბათუმი გაფართოვდა. ეს კარგია, რადგან ყველაფერი ერთ ადგილას აღარ იქნება თავმოყრილი.

— **დაგვისახელეთ მნიშვნელოვანი პროექტები, რომლებიც 2011 წელს აჭარის უმაღლეს საბჭოში განხორციელდა...**

— მე მაინც მაჭახლის ხეობის ტყე-პარკის ნაკრძალების ინიციატივას გამოვყოფდი, რომლის განხილვაც პარლამენტს მივანდეთ. მოგეხსენებათ, რომ მტირალას ეროვნულმა პარკმა გაამართლა, რაც თავის დროზე უმაღლესი საბჭოს მიერ შეთავაზებული წინადადება იყო. იქ დაცულია უამრავი მცენარე თუ ცხოველი და ამასთან, ხალხიც დასაქმდა.

— **აშკარაა, რომ ქალაქის კულტურული ცხოვრება დღითიდღე უკეთესობისკენ იცვლება...**

— მოგეხსენებათ, რომ ბათუმის მერია ბიუჯეტს დამოუკიდებლად განკარგავს. მთავარი კი მაინც ისაა, რომ ყველაფერი ძალიან კარგად მოკლე დროში კეთდება. ბოლო პერიოდის სამუშაოებიდან კულტურის ცენტრს გამოვყოფდი, სადაც უკვე ბევრი შესანიშნავი წარმოდგენა გაიმართა.

აღინიშნა ანსამბლ „ბათუმის“ 20 წლის იუბილე, ჩატარდა მელიტონ კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის აკადემიური ანსამბლის 90 წლის იუბილე. საინტერესოა ისიც, რომ ხელოვნების უნივერსიტეტი მესამე წელია დამოუკიდებლად ფუნქციონირებს.

— **როგორ შეაფასებდით ამ ყველაფერს ჩვეულებრივი აჭარის მკვიდრის გადასახედიდან?**

— ყველაფრის მიუხედავად, „გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია“. ქალაქში ბევრი ახალი შენობაა, ბევრი ძალიან კარგადაა მოწესრიგებული, მაგრამ ბევრი რამ გასაკეთებელია... ქალაქის სანაპირო ზოლი მოწესრიგდა. შემდეგ ე.წ. ჭაობის დასახლების მხარეს გადავინაცვლებთ. მერწმუნეთ, 2-3 წლის შემდეგ ყველაფერს ექნება თავისი საბოლოო და სრულყოფილი სახე. ძალიან ბევრი მიზანი გვაქვს დასახული...

— **შევეხოთ საგანმანათლებლო ცხოვრებას. თქვენ, როგორც ფილოსოფოსი და მეცნიერი, აქტიურად ხართ ჩართული საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. 25 წიგნის, მათ შორის, 9 მონოგრაფიის ავტორი ხართ. რამდენიმე სიტყვით გვითხარით თქვენი საუნივერსიტეტო საქმიანობის შესახებ...**

— რაც შეეხება ჩემს შემოქმედებით საქმიანობას, წელს 3 სამეცნიერო ნაშრომი გამოვაქვეყნე, მეოთხე კი, ჩემი 40-წლიანი კვლევა-ძიების დაგვირგვინება იყო — გამოვეცი 428–გვერდიანი მონოგრაფია — „არეოპაგიტიკა“. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვკითხულობ ისეთ მნიშვნელოვან სალექციო კურსებს, როგორიცაა აღორძინების ფილოსოფია და მეოცე საუკუნის დასავლეთის ფილოსოფია.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, გეტყვით, რომ მიმდინარე წელს დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა გამოჩენილ ქართველ ფილოსოფოსს – ზურაბ კაკაბაძეს. მინდა მისი საუკეთესო თხზულებების ერთტომეული გამოვცე, რაც ჩვენი ახალგაზრდებისთვის კარგი საჩუქარი იქნება. ამ მხრივ მთავრობის თანადგომის იმედი მაქვს.

— **იქნებ ორიოდე სიტყვა გვითხრათ ამ ახალ მონოგრაფიაზე, რომლის წარდგინებაც შედგა 23 დეკემბერს რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში.**

ჩემი ახალი მონოგრაფია — „არეოპაგიტიკა“ V-VI საუკუნეთა მიჯნაზე შექმნილ უმნიშვნელოვანეს რელიგიურ-ფილოსოფიურ მოძღვრებას ეძღვნება. მასში განხილულია არეოპაგიტიკის ფილოსოფიური და თეოლოგიური წყაროები. არეოპაგიტული ფილოსოფია და არეოპაგიტული გავლენა, არეოპაგიტული თხზულებების ავტორობის საკითხი და არეოპაგიტიკასთან ქართული კულტურის მიმართება. ეს ნაშრომი არის აკადემიკოსების — შალვა ნუცუბიძისა და შალვა ხიდაშელის კვლევა-ძიებათა გაგრძელება, მათი მიღწევების და საკითხის ირგვლივ არსებული ხელმისაწვდომი მასალის კრიტიკული ანალიზი და ჩვენეული პოზიციის გადმოცემა.

— **როგორია თანამედროვე სტუდენტის ფილოსოფიური თვალსაწიერი?**

— დღეისათვის ფილოსოფიისადმი ჩვენში ერთგვარი ნიჰილიზმია გამეფებული. ეს ყოველთვის ასე იყო. ახალი ხედვა რა თქმა უნდა, აუცილებელია, თუმცა ვფიქრობ, რომ ძველთან კავშირის გაწყვეტა არ შეიძლება. ვცდილობთ, რომ სტუდენტებს ფილოსოფიის ინტერესი გავუღვივოთ. ეს ფაქიზი დარგია და სხვაგვარ მიდგომას საჭიროებს. ფილოსოფია ინტელექტუალური კომფორტია. ფილოსოფია მოსავალს ვერ მოგცემს, ყანას ვერ გაგითოხნის, წყალს ვერ დაგალევინებს და ა.შ. მაგრამ თუკი ფილოსოფია არის ერში, ეს ბევრის მთქმელია. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში, ქართველები და რუსები სწორედ ამითი იყვნენ გამორჩეულნი. მეტსაც გეტყვით, ბევრ რამეში ჩვენ მათ ვუსწრებდით კიდეც. ეს კი ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიითა და ფილოსოფიური ტრადიციით იყო განპირობებული, ყველაფერი ეს კი, ფილოსოფიურ ხედვაში აისახა. ქართული ფილოსოფია ევროპულ სტანდარტებს შეესაბამებოდა და შეესაბამება ახლაც.

22 ნოემბერს უნივერსიტეტში ფილოსოფიის დღე ჩავატარეთ, რომელიც ზურაბ კაკაბაძეს მივუძღვენით, რამაც სტუდენტებში ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია. გულწრფელად გეტყვით, რომ ამით ვამაყობ. მანამდე 17 ნოემბერს თელავის უნივერსიტეტშიც გვქონდა შეხვედრა, სადაც გაოცებული დავრჩი ფილოსოფიისადმი ახალგაზრდობის ასეთი დაინტერესებით. ასე იყო იმ დღეს – ჩვენს უნივერსიტეტშიც. მეგონა, რომ ჩვენთან ფილოსოფიის ასეთი ინტერესი არ იქნებოდა. მოხდა კი პირიქით, თბილისელი პროფესორის თეიმურაზ მთიბელაშვილის საჯარო ლექციამ მერაბ მამარდაშვილის შესახებ საყოველთაო ინტერესი გამოიწვია. სამწუხაროდ, დრო არასწორად გადავანაწილეთ, ისინი ჩვენგან ბევრად დიდი დროს დათმობას ელოდნენ. ასე ვთქვათ, შეკვეთაც მომცეს და მეც დავპირდი, რომ მათთვის ახლო მომავალში წავიკითხავ საჯარო ლექციას ზურაბ კაკაბაძის შემოქმედებაზე.

კარგი ახალგაზრდობა გვყავს. მინდა მათ ინტელექტუალურ სფეროსა და პირად ცხოვრებაში წარმატება ვუსურვო. ჩემი ასაკის მიუხედავად, მე მათ ვუგებ. არასოდეს მითქვამს, რა თაობა მოდისმეთქი. ახალგაზრდობის დიდი ნაწილი გამართულად საუბრობს ინგლისურ ენაზე და ეს ძალიან კარგია. კომპიუტერის ცოდნა ხომ უკვე აღარაფრად ითვლება.

— **თქვენი მრავალმხრივი გამოცდილებიდან გამომდინარე, რას უსურვებდით თანამედროვე სტუდენტ-ახალგაზრდობას და თუნდაც ახალბედა პოლიტიკოსებს?**

– პირველ რიგში ვურჩევდი, რომ კვალიფიცირებული სპეციალისტები ყოფილიყვნენ. უნდა ფლობდნენ რამდენიმე ენას, თუმცა ინგლისური მაინც უმნიშვნელოვანესია.

რაც შეეხება ახალბედა პოლიტიკოსებს, ვურჩევდი, რომ მყარი პოზიცია ჰქონდეთ, თავიდანვე განუდგნენ გამოთქმას, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა და პოლიტიკა სუფთა ხელებით აკეთონ. ვიტყოდი, რომ რამდენადაც მეტი პროცენტი იქნება საქმის სუფთა ხელებით კეთებისა და არა პოპულიზმი, არა სხვისი ლანძღვა, და ა.შ. ქვეყანა ბევრად ჩქარი ტემპით წავა წინ. არ არის საჭირო ქუჩის აქციები. მართალია, უნდა იყოს შეურიგებლობა, უნდა არსებობდეს ოპოზიცია, მაგრამ არა მეორე ადამიანის დამცირების და შეურაცხყოფის ხარჯზე.

– ქართველი მწერლებიდან ვის გამოარჩევდით?

– ასეთ სპონტანურ შეკითხვაზე მიჭირს ხოლმე პასუხის გაცემა. ცხადია, შოთა რუსთაველს, თუმცა „ვეფხისტყაოსანს“ მე უფრო ფილოსოფიური პოზიციიდან ვკითხულობ: გეტყვით, რომ თავის დროზე მოხიბლული ვიყავი „დათა თუთაშხიათი“. ყოველთვის მომწონდა დავით კლდიაშვილის და ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედება. ამ უკანასკნელის ყოველი ფრაზა ბევრი რამის გასახსნელად, ბევრ რამეზე დასაფიქრებლად გამოგვადგება. სულ სხვაა ნოდარ დუმბაძე, როგორც მწერალი. ბევრ შეხედულებაში შეიძლება არ ვეთანხმები, მაგრამ მას თავისებური ხერხები აქვს, მან ქართულ მწერლობაში უდავოდ თქვა თავისი სიტყვა.

მომწონს ოთარ ჭილაძის შემოქმედება, გურამ დოჩანაშვილის თხზულებები, ბატონ გურამს პირადად ვიცნობ კიდეც.

რაც შეეხება საზღვარგარეთის ლიტერატურას, თავის დროზე მოხიბლული ვიყავი მოემის, ბალზაკის, თომას მანის და სხვათა შემოქმედებით. ისიც კარგად მახსოვს, ამ უკანასკნელის „ბუდენბროკების“ კითხვა რომ დავამთავრე, ვიგრძენი ჩემს გონებაში მთელმა ეპოქებმა გაიარა. რომ არ გამომრჩეს, ძალიან მომწონს მაქს ფრიშის რომანი – ჰომო ფაბერი (ადამიანი მომხმარებელი), რომელსაც სპეციალური წერილიც მივუძღვენი.

— **რას უსურვებდით 2012 წლისთვის სრულიად საქართველოს?**

— წარმატებული წელი ყოფილიყოს როგორც საერთოდ ქვეყნისთვის, ისე თითოეული ქართველის პირად ცხოვრებაში. 2012 წელს საქართველოს გამთლიანება მოგველოცოს ერთმანეთისთვის. ამასთან, ყველაფერი ეს უსისხლოდ მომხდარიყოს, ეს არის უმთავრესი...

ნესტან მამუჭაძე

ახალგაზრდობა – ჩვენი ქალაქის ხვალინდელი დღე

ქალაქ ბათუმის მერიის ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიზანი ახალგაზრდული სფეროს მართვა, მხარდაჭერა და ხელშეწყობაა. დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობს როგორც უნივერსიტეტის, ასევე მოსწავლეთა თვითმმართველობასთან. 2012 წლის გეგმაში სტუდენტთა ინტერესები მნიშვნელოვნადაა გათვალისწინებული.

გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტს“ ქალაქ ბათუმის მერიის ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების უფროსი თამაზ დარჩიძე ესაუბრება:

— რამდენი ხანია, რაც ბათუმის მერიის ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილება ფუნქციონირებს?

— უპირველესად მადლობა მინდა გადაგიხადოთ იმისათვის, რომ აქტიურად აშუქებთ ჩვენს ქალაქში განხორციელებულ ახალგაზრდულ ღონისძიებებს, იმისათვის, რომ დიდ ყურადღებას აქცევთ ახალგაზრდებისა და სტუდენტების პრობლემებსა თუ მიღწევებს. რაც შეეხება ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილებას, იგი ბათუმის მერიის განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის სამსახურის შემადგენლობაში საქმიანობს 2006 წლიდან, მისი უმთავრესი მიზანი ბათუმში ახალგაზრდული სფეროს მართვა, მხარდაჭერა და ხელშეწყობაა. განყოფილება ახორციელებს მიზნობრივ პროგრამებს, ასევე მხარს უჭერს ახალგაზრდების ინიციატივებსა და ახალგაზრდულ ღონისძიებებს. ახალგაზრდობა ჩვენი ქალაქის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, მათ განათლებასა და განვითარებაზე, წარმატებასა და სიჯანსაღეზე დამოკიდებულია ჩვენი ქალაქის ხვალინდელი დღე. გამომდინარე აქედან, ახალგაზრდული სფეროს მხარდაჭერა ბათუმის მერიის მნიშვნელოვანი პრიორიტეტული მიმართულებაა.

— რა არის აღნიშნული სამსახურის უმთავრესი მიზანი?

— მოკლედ რომ ჩამოვაყალიბო: ჩვენი საქმიანობის მიზანი ახალგაზრდების განვითარება, მხარდაჭერა და შესაძლებლობების წარმოჩენაა. ამ მხრივ ბათუმის მერია ისეთ კონკრეტულ ამოცანებს ისახავს, რომელიც ჩვენი ახალგაზრდა თანაქალაქელების კონკრეტულ ინტერესთა ჯგუფსა და კეტეგორიას ეხება და მოიცავს მათთვის სპეციალური მიზნობრივი პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელებას. რაც შეეხება ჩვენი საქმიანობის ზოგად ასპექტებს, როგორც ცნობილია, მიმდინარეობს აქტიური მუშაობა საქართველოს ეროვნული ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის შესაქმნელად, რომელმაც უნდა განსაზღვროს სახელმწიფოს ძირითადი მიდგომა ახალგაზრდების მიმართ. ჩვენც რასაკვირველია ჩართული ვართ ამ პროცესში, რომლის შორეულ მიზანსაც წარმოადგენს ეროვნული ახალგაზრდული პოლიტიკის იმპლემენტაცია ჩვენს ქალაქში.

— როგორია ახალგაზრდობის დაინტერესება აღნიშნული სამსახურის მიმართ?

— ბათუმის მერია არის მზად ურთიერთობებისა და თანამშრომლობისათვის. შესაძლებლობების ფარგლებში მხარს ვუჭერთ ახალგაზრდების ინიციატივებსა და ღონისძიებებს. ვეხმარებით მათ, რათა შეძლონ საკუთარი პოტენციალისა და შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა. ამ მხრივ მოვიყვან შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითს. 2011 წლის განმავლობაში მერიის მხარდაჭერით დროებით სამუშაოებზე დასაქმდა 440 სტუდენტი, კერძო კომპანიებში და ცალკეულ ტურისტულ ობიექტზე მუშაობის რეკომენდაცია მიეცა 15-მდე ახალგაზრდას, ბუნებრივია, ამ უკანასკნელთა ანაზღაურებაც მეტი იყო. ასევე მერიის ცალკეულ მუნიციპალურ პროგრამებში დასაქმდა 25 სტუდენტი, მათ შორის 15 რსუ-ს სტუდენტი. რაც შეეხება ზოგადად, მერიის მუნიციპალურ პროგრამებში სტუდენტებისა და ახალგაზრდების მონაწილეობას, მათი რიცხვი გაცილებით მეტია. ჩვენ ვახორციელებთ მასშტაბურ პროგრამებს (ახალგაზრდული ბანაკები, შემოქმედებითი ფესტივალები, ინტელექტუალური თამაშები, ლიტერატურული კონკურსები და ა.შ), რომელიც ერთნაირად საინტერესოა შემოქმედებითი ნიჭის მქონე თუ სოციალურად დაუცველი ახალგაზრდებისათვის.

— ძირითადად რომელ სფეროებთან თანამშრომლობთ?

— როგორც აღვნიშნე, ჩვენი უმთავრესი ამოცანაა შევქმნათ მექანიზმები და საშუალებები, რომ უფრო მეტად დავუჭიროთ მხარი ახალგაზრდების განვითარებას, მათი შესაძლებლობების სრულყოფას, ყოველდღიურობის გამრავალფეროვნებას. ამისთვის ქალაქ ბათუმის მერია და ზოგადად აჭარის არ მთავრობა არ შემოიფარგლება მხოლოდ კონკრეტული ახალგაზრდული მიზნობრივი პროგრამების განხორციელებით, ყველაფერი რაც ჩვენს ქალაქში იქმნება, სწორედ მომავალი თაობისა და ახალგაზრდებისათვის პირობების გასაუმჯობესებლად კეთდება. ვინაიდან ეს არაა მხოლოდ ჩვენი სამსახურის ამოცანა, ამიტომ ვთანამშრომლობთ ყველა იმ სახელმწიფო თუ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთან, ვისთვისაც ეს ამოცანები არის აქტუალური. სახელდობრ, ამ მხრივ ბათუმის მერია აქტიურად თანამშრომლობს აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტთან. ჩვენ ყოველდღიურად ვატარებთ კონსულტაციებს და ვეხმარებით ერთმანეთს. ასეთივე მჭიდრო სამუშაო ურთიერთობა გვაკავშირებს აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტთან. ცალკეული პროგრამებისა და აქტივობის განხორციელების პროცესში ვთანამშრომლობთ ბათუმის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, მის ცალკეულ სტრუქტურულ ერთეულებთან, როგორიცაა, სტუდენტური თვითმმართველობა, სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი, ადმინისტრაცია და ა.შ. დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ მოსწავლეთა თვითმმართველობებთან მუშაობას. ჩვენი ინიციატივით ჩამოყალიბდა ბათუმის სასკოლო თვითმმართველობების ფორუმი, რომელიც თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების კარგ მექანიზმად ყალიბდება.

— რას იტყვით სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამის შესახებ?

— 2011 წლისათვის ბათუმის მერიამ განახორციელა ახალგაზრდობის საქმეთა 10 მუნიციპალური პროგრამა, რომელიც პირობითად რამდენიმე კატეგორიად შეიძლება დავყოთ: სოციალური (სტუდენტური დასაქმება, საკვირაო სკოლა სოციალურად დაუცველი ახალგაზრდებისათვის), სპორტულ-გამაჯანსაღებელი (სამთო-ახალგაზრდული ბანაკები, პატრიოტული ბანაკები), კულტურულ-შემოქმედებითი (საერთაშორისო ახალგაზრდული ფოლკლორული ფესტივალი, მხიარულთა და საზრიანთა გუნდების მუსიკალური ფესტივალი, ბათუმთან დამეგობრებული ქალაქების ახალგაზრდული კვირეული, ბათუმის ახალგაზრდული თეატრი), შემეცნებითი (ინტელექტუალური თამაშები), ასევე ახალგაზრდობის საქმეთა სხვადასხვა ღონისძიებები, რომლის ფარგლებში ჩატარდა არაერთი საინტერესო ღონისძიება და აქტივობა.

— გამოკვეთეთ ის უმთავრესი პროექტები თუ ღონისძიებები, რომლებიც აღნიშნული სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა...

— მინდა აღვნიშნო, რომ ცალკეულმა მიზნობრივმა პროგრამამ თავისი ამოცანა შეასრულა. ამ თვალსაზრისით ცალკე, რომელიმე პროგრამის გამოყოფა არ შემიძლია, მაგრამ იყო ისეთი ნოვატორული და შინაარსით გამორჩეული პროგრამები, როგორიცაა „ზაფხულის ღია ახალგაზრდული თეატრი“ და „ბათუმთან დამეგობრებული ქალაქების ახალგაზრდული კვირეული“. ორივე პროგრამა ერთგვარად ექსპერიმენტული გახლდათ და საკმაო წარმატებით განხორციელდა.

ერთი მხრივ ღია, ქუჩის ახალგაზრდული თეატრი თავისი კონცეფციით საინტერესო აღმოჩნდა ტურისტული სეზონის ბათუმისათვის და მეორე მხრივ მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდისათვის იქცა შესაძლებლობების წარმოჩენის კარგ სარბიელად. ვფიქრობთ, ბათუმის მერიის ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების ინიციატივით კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი — დამეგობრებული ქალაქების ახალგაზრდებთან ერთად შემოქმედებითი კვირეულის ორგანიზების სახით. 2011 წელს ჩავატარეთ პირველი ასეთი კვირეული, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ბათუმთან დამეგობრებული 6 ქალაქის (იალტა, ტრაპზონი, კუშადასი, ვანადორი, მარბელა, ტერნოპოლი) ახალგაზრდებმა. მათ წარმოადგინეს თავიანთი შემოქმედება, კულტურა და ქალაქი. რაც მთავარია, ისინი დაუმეგობრდნენ ერთმანეთს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს ახალგაზრდებს ჰქონდეთ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მჭიდრო მეგობრული ურთიერთობები თავიანთ თანატოლებთან. ბათუმთან დამეგობრებული ქალაქების ახალგაზრდული კვირეული წელს მიეძღვანა სტუდენტთა საერთაშორისო დღეს და კვირეულის ფარგლებში არაერთი ღონისძიება ჩატარდა (ახალგაზრდული ფორუმი, ახალგაზრდული ფილმების რეტროსპექტივა, ფოტო-გამოფენა, ბათუმის ტურისტული პოტენციალის წარდგენა, გალაკონცერტი). ვფიქრობთ, რომ აღნიშნული კვირეული სამომავლოდ უფრო მასშტაბურ სახეს მიიღებს.

— როგორ შეაფასებდით სამსახურის მიერ 2011 წლის განმავლობაში მიღწეულ შედეგებს?

— ჩვენი შედეგები გამოიხატება დასახული გეგმების შესრულებით. ვფიქრობ, რომ ეს გეგმები არის შესრულებული, მაგრამ ჩვენ ეს არ გვანიჭებს თვითკმაყოფილების განცდას, რადგან უფრო აქტიური მუშაობაა საჭირო ახალგაზრდებში არაფორმალური განათლების, ინფორმაციის გაცვლისა და დიალოგის ხელშეწყობის თვალსაზრისით. ჩვენ ვდგავართ ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან, სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფებთან და სტუდენტურ თვითმმართველობასთან უფრო მეტი კოორდინაციისა და მჭიდრო მუშაობის აუცილებლობის წინაშე. ჩვენთვის გამოწვევაა ხელი შევუწყოთ ბათუმთან ახლადშემოერთებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდების ინტეგრაციას და ჩართვას, აქტიურობას ქალაქის ახალგაზრდულ ცხოვრებაში, ქალაქის კულტურულ-შემოქმედებით, სპორტულ და გასართობ ღონისძიებებში. მიუხედავად მიღწეული დადებითი შედეგებისა, სამომავლოდ უფრო აქტიურ და მრავალმხივ საქმიანობას ვგეგმავთ. ამისათვის ჩვენ საკმარისი მატერიალური და ადამიანური რესურსი გაგვაჩნია და გვინდა ეს ამოცანების განხორციელებაში ახალგაზრდები მაქსიმალურად ჩავრთოთ.

— როგორია ბათუმის მერიის ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების სამომავლო გეგმები?

როცა ვსაუბრობთ 2012 წლის გეგმებზე, უნდა ვთქვათ, რომ აქ მნიშვნელოვნად გათვალისწინებულია სტუდენტების საჭიროებები და ინტერესები. როგორც ცნობილია, ბათუმის ბიუჯეტის სამუშაო ვარიანტი აჭარის ა. რ მთავრობის თავმჯდომარემ, ბატონმა ლევან ვარშალომიძემ და ქალაქ ბათუმის მერმა, ბატონმა რობერტ ჩხაიძემ უნივერსიტეტში, სტუდენტებთან ერთად განიხილეს. შესაბამისად, სტუდენტების წინადადებებსა და მოსაზრებებს ახალგაზრდობის საქმეთა 2012 წლის ღონისძიებებში გაითვალისწინებენ.

გარდა იმისა, რომ გავაგრძელებთ 2011 წელს განხორციელებულ პროგრამებს, გვაქვს სიახლეებიც, როგორიცაა სტუდენტთა მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც მოგვცემს შესაძლებლობას მხარი დავუჭიროთ სტუდენტთა მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებს საჭირო საშუალებებით. მსგავსი პროგრამა იმუშავებს ბათუმის ცალკეულ ტერიტორიულ ერთეულებშიც. ასევე ბათუმის მერია მზადაა მხარი დაუჭიროს სტუდენტებისა და ახალგაზრდების საინტერესო, კვალიფიციურ იდეებს, რომელიც ეხება ბათუმელი ახალგაზრდების განვითარებას, მხარდაჭერას, წარმოჩენას. აქ საუბარია, კვარტალში ერთხელ ხელი შევუწყოთ მსგავსი მცირებიუჯეტიანი პროექტების განხორციელებას. ასე რომ, მოვუწოდებ სტუდენტებსა და ზოგადად ახალგაზრდებს, უფრო აქტიურად ჩაერთონ ჩვენი ქალაქის ცხოვრებაში.

— სულ მალე 2011 წელი ისტორიის საკუთრება გახდება. როგორია თქვენი წინასაახალწლო სურვილები?

— წინასაახალწლოდ თითოეული ჩვენგანი აჯამებს განვლილ წელს. ვფიქრობთ იმაზე, რა შეიძლება უკეთესად გაკეთებულიყო და როგორი ძალისხმევით იქნებოდა შესაძლებელი მაქსიმალური შედეგის მიღწევა. მერე ყველა ვცდილობთ ეს ყველაფერი სამომავლო საქმიანობაში ავსახოთ. ასეა ჩვენს შემთხვევაშიც. წინასაახალწლოდ ქალაქ ბათუმის მერი შეხვედრას გამართავს 2011 წლის ახალგაზრდობის საქმეთა მუნიციპალური პროგრამებში აქტიურად ჩართულ ახალგაზრდებთან, მათთან ერთად შეაჯამებს განვლილ 2011 წელს და სამომავლო გეგმებსაც გააცნობს. შეხვედრაზე ქალაქის მერი დააჯილდოებს იმ აქტიურ ახალგაზრდებს, რომელთაც განსაკუთრებული მოტივაცია და ენერგიულობა აჩვენეს, ხელი შეუწყეს ცალკეული აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებას. ვისურვებდი, რომ მომავალ წელს უფრო მეტ ახალგაზრდას ჰქონდეს იმის განცდა, რომ მან თუნდაც მცირედი წვლილი შეიტანა ქალაქის განვითარების საქმეში.

— რას უსურვებდით ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს, თანაქალაქელებს და სრულიად საქართველოს?

— შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩვენი მშობლიური უნივერსიტეტია. მოხარული ვარ, რომ იგი წლიდანწლამდე ვითარდება და ძლიერდება. ვისურვებ, რომ 2012 წელი იყოს კიდევ ერთი საფეხური ჩვენი უნივერსიტეტის მძლავრ, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრად ჩამოყალიბების პროცესში. უნივერსიტეტის ყველა პროფესორ-მასწავლებელს ვულოცავ ახალი წელს, ვუსურვებ ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას, ჯანმრთელობასა და სიმშვიდეს. ვულოცავ ახალ წელს ყველა სტუდენტს და ვუსურვებ წარმატებულ, ბედნიერ წელს, აქტიურ საზოგადოებრივ და სტუდენტურ ცხოვრებას. დარწმუნებული ვარ, 2012 წელი, ჩვენი ქვეყნისათვის კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება, რაშიც თავის წვლილს ახალგაზრდებიც შეიტანენ. მინდა რომ ახალი წელი იყოს ჩვენი ქვეყნისათვის, თითოეული ჩვენგანის ოჯახებისათვის ბედნიერებისა და სიხარულის მომტანი.

ნ. მ.

მერი გორდელაძე – 80

ეტრიხეპი სიბრძნის კიდობნიდან

,,მრავალნი არიან ჩინებულ, მცირედნი-რჩეულ...“ სწორედ რჩეულთა რიცხვს მიეკუთვნება თხემით ტერფამდე პედაგოგი, ჩინებული მათემატიკოსი მერი გორდელაძე. ამ სანდომიან, მომხიბლავ, სამართლიან, ძლიერი ნებისყოფის ქალბატონს თვალებში სიკეთის, ბავშვებისა და ახალგაზრდების სიყვარულის მზე უდგას, რომელიც მხოლოდ სითბოს და სიკეთეს ასხივებს და მოსაუბრესაც მუდამ სიკეთის ქმედებას შთააგონებს. მასში ჰარმონიულადაა შერწყმული მაღალადამიანური ღირსებები და პედაგოგიური ოსტატობა, შესაშური გულმოდგინება და მტკიცე, მებრძოლი ბუნება, რაც ქმნის ჭეშმარიტი ქართველი ქალის, აღმზრდელის განუმეორებელ პორტრეტს. მის უმნიკვლო პედაგოგიურ ტაქტს, ალღოს და გამოცდილებას საჯარო სკოლასა და უნივერსიტეტში მოღვაწეობის ექვსი ათეული წელი ამშვენებს. ალბათ მარტო ხუროთმოძღვარზე როდი ბრძანებდა კონსტანტინე, როდესაც წერდა: „უდიდესი სიამაყე შეუდგება გულს, როდესაც შემოქმედების შენის ნაყოფი ცასა და მიწას სამკაულად გამოადგება.“ მართლაც რომ სიამაყის გრძნობით ივსები, როდესაც ათობით მისი აღზრდილის, კოლეგისა და მეგობრისაგან გესმის მისდამი ნათქვამი გულთბილი სიტყვები, მათ სიბრძნის კიდობანი (ბრძნული აზრები, საინტერესო ფაქტები და მოვლენები) ძლივს იტევს, ისინი სამზეოზე გამოსვლას ლამობენ. დასახელებული კიდობნიდან მოყვანილი ამონარიდები ნათლად წარმოაჩენენ ღვაწლმოსილი პედაგოგისმერი გორდელაძის პორტრეტს.

ძვირფასო მერი მასწავლებელო! გწერთ წარსულში უზრუნველი და უანგარო, სანატრელი და განუმეორებელი, ახალგაზრდობის წლების სურათების მოგონებებით აღსავსენი, ან ჟამთა სვლისაგან დაღლილი თქვენი აღზრდილები. გვინდა ერთად მოვიგონოთ №1 საშუალო სკოლის მე-6 კლასიდან მე-11 კლასამდე თქვენ მიერ ჩატარებული ფიზიკის გაკვეთილები. ეს იყო ცოდნის ნამდვილი სავანე. თქვენ შეგვაყვარეთ ეს ურთულესი საგანი. სიამაყით გვინდა გითხრათ, რომ თქვენ მიერ დასახული ცხოვრების გზიდან არ გადაგვიხვევია, არ შეგვირცხვენიხართ და პირნათლად ვიხდით მამულიშვილურ ვალს ქვეყნის წინაშე.

ბათუმის №1 საშუალო სკოლის
1963 წლის კურსდამთავრებულთა
სახელით: **მარინა კალოიანი,**
ზურაბ აბაშიძე, ლეილა ბუკია...

ჩემო მშვენიერო და საოცრად თბილო მერი მასწავლებელო!

ვკითხულობ, ვფურცლავ ამ წიგნაკის უკვე ამეტყველებულ ფურცლებს და აღელვებული, ათასი საფიქრალით სავსე გული ნელ-ნელა მიმშვიდდება... არ გამქრალა, არ გადაგვარებულა ქართული სულიერება, სითბო და სიყვარული. აკლია, ძალიან აკლია დღეს საქართველოს თქვენნაირი სამშობლოზე მოდარდე მამულიშვილები, თქვენნაირი კეთილშობილი, მუხლჩაუხრელი, გამრჯე, ცისმარე ფუტკარივით მშრომელი ადამიანები...

მინდა გისურვოთ ხალისი, ბედნიერი ცხოვრება და ისეთი საქართველო, როგორზეც ვოცნებობთ ჩვენ, ქართველები.

სიყვარულით და პატივისცემით
ბელა ძეგურია.

საოცარი ენერგიით სავსე მერი მასწავლებელს!

რეზო ინანიშვილი ამბობდა: შეუნარჩუნეთ ადამიანებს ბავშვური შუქი თვალებში და სამყარო გადარჩება!

მერი მასწავლებელი ერთ-ერთი იმ რჩეულთაგანია, ვისაც ეს ბავშვური შუქი დღემდე შენარჩუნებული აქვს, ვისი სიცოცხლის ჟინი და ენერგია გადამდებია და საოცარი სიკეთისა და სიყვარულის უზომო ნიჭთანაა შერწყმული.

სიყვარულით
შორენა მახაჭაძე.

უბედნიერეს ქალად ვგრძნობ თავს, რომ მომეცა საშუალება მოვეფერო და მოვესიყვარულო დიდებულ, ამაღლებულ ქალბატონს და იდეალურ პედაგოგს- მერი მასწავლებელს. თავს უფლებას ვაძლევ მერი მასწავლებელო, ჩაგთვალოთ ღვთის რჩეულ ადამიანად, რადგან ამდენი ახალგაზრდის მომავალი მოგაბარათ ღმერთმა. კარგი პედაგოგობა ხომ ღვთის მადლი და ამავე დროს დიდი ტვირთიცაა, რომელიც მით უფრო მსუბუქდება, რაც უფრო იხარჯება ადამიანი. სწორედ ახალგაზრდობის ნათელი მომავლისთვის იწვით და იხარჯებით, ამიტომ თქვენს პიროვნებაში შეიძლება ამოიცნოს ადამიანმა როგორც დედა, როგორც მეგობარი, გზამკვლევი, თანამდგომი და დამრიგებელი, რომელიც გზას უკვალავს და უნათებს უკან მდგომთ, რათა არ გაიბნენ ცხოვრების ლაბირინთებში.

პატივისცემით
მზევინარ ბაკურიძე.

მინდა ჩემი უღრმესი პატივისცემა გამოვხატო მერი მასწავლებლისადმი, ადამიანისადმი, რომელსაც ვაჟკაცურად უვლია ცხოვრების გზაზე და ქვეყნისათვის აღუზრდია მრავალი თაობა. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყოველივე ამისათვის, უანგარო, უმნიკლო, მუხლჩაუხრელი სამსახურისა და მოღვაწეობისათვის.

მსურს საქართველოს ბევრი ჰყავდეს ასეთი დედა, მეუღლე, ქალი და რაც ყველაზე მთვარია, ჭეშმარიტი მასწავლებელი.

პატივისცემით **ანზორ ბერიძე.**

ქალბატონო მერი!

გულდასმით წავიკითხე აზრთა კიდობანში გამოხატული შეხედულებები, სურვილები... ბევრი მათგანი სიბრძნის და გამოცდილების ამსახველია, ბევრიც პირადული ურთიერთობის გამომხატველი... დიდი ბედნიერებაა, როცა ზრდასრულ ადამიანებს და შეგირდებს ასე უყვარხართ. ეს ძალას და ენერგიას გმატებს, გაგრძნობინებს, რომ ფუჭად არ ჩაუვლია თქვენს ცხოვრებას და ღრმა კვალი დაგიტოვებია, შეგიძლიათ იამაყოთ... აფერუმ თქვენს ქალობას!

გაინტერესებთ, მე როგორ მესახებით? – მკაცრ, მაგრამ სამართლიან პედაგოგად, ვისაც სჯერა საკუთარი თავის, პატიოსნებისა, სიკეთისა. ხართ უაღრესად უშუალო და თავმდაბალი. თავმდაბლობა ხომ დიდ ადამიანთა ღირსების ნიშანია. თქვენ ბევრი აღსაზრდელისა და ახალგაზრდისათვის მიგინიჭებიათ ბედნიერება, რაც თავისთავად გამაღლებთ და მისაბაძ ადამიანად გაქცევთ.

დიდხანს სიცოცხლეს და პირად ბედნიერებას გისურვებთ.

კეთილი სურვილებით
ნაზი მიქელაძე.

ჩემთვის გამორჩეულად ახლობელი, უძვირფასესი ადამიანი და მასწავლებლის ეტალონი ხართ, მერი მასწავლებელო! თქვენთან გატარებული წლები აკადემიაა ჩემთვის. მე თქვენგან ახლაც ძალიან ბევრ რამეს ვსწავლობ, ვიღებ და ვიყენებ ჩემს პედაგოგიურ საქმიანობაში.თქვენ განგებამ საუკეთესო ადამიანური ღირსებები უხვად დაგანათლათ. ხართ ურყევი, შეუპოვარი, მედგარი, პრინციპული, შემტევი, სამართლიანი, მომთხოვნი, საქმის ერთგული და პროფესიონალი. მე თქვენზე წერას ვერასოდეს მოვრჩები, თქვენზე სათქმელი ძალიან, ძალიან ბევრი მაქვს მერი მასწავლებელო, მაგრამ აქ მხოლოდ ერთს გეტყვით მე თქვენ გულწრფელად მიყვარხართ, თავს დაბლა გიხრით და კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას თქვენი არსებობისათვის, ადამიანობისა და იმ დედობრივი ამაგისათვის, რაც ჩემზე გასწიეთ.

ნანა მაკარაძე

უნივერსიტეტის ისტორიას ბევრი სახელოვანი პიროვნება ამშვენებს. ერთ-ერთი მათგანია მერი გორდელაძე, ყველასათვის საყვარელი და ძვირფასი მერი მასწავლებელი. უნივერსიტეტის დიდი სიყვარული ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა – ეს შტრიხები ამშვენებს მის ბიოგრაფიას.

მე მჯერა უნივერსიტეტის მომავალისა, მწამს რომ ბათუმის უნივერსიტეტი ეროვნული მნიშვნელობის და საერთაშორისო აღიარების საგანმანათლებლო კერად გადაიქცევა. ეს მარტო ჩემი სურვილი არ არის. ეს საერთო მიზანსწრაფვაა, სურვილია, მათ შორის ქალბატონ მერი გორდელაძის – მერი მასწავლებლისა.

ვლადიმერ (ლადო) ბალაძე

ქალბატონო მერი! მასწავლებელო!

პირველ ყოვლისა, დიდი მადლობა, რომ თქვენს „კიდობანში“ ადამიანებს აძლევთ საშუალებას თქვენ მიმართ და საერთოდ, გამოამჟღავნონ – სულიერი სიმდიდრე და ცხოვრებისეული ფილოსოფია. მეც ერთ-ერთი მათგანი ვარ. მოხიბლული ვარ მაღალადამიანური და პედაგოგიური ღირსებებით, შემართებით, შეუვალობით, მომთხოვნელობით, სამართლიანობით, უამრავი გამორჩეული თვისება დაგანათლათ უფალმა. ამიტომაც ხართ გამორჩეული, მისაბაძი და სამაგალითო ყველაფერში. ვისურვებდი, რომ ჩვენს ქვეყანას კვლავაც ჰყავდეს თქვენისთანა ღირსეული მოქალაქეები, პედაგოგები, მამულიშვილები.

დიდხანს იბედნიერეთ ბატონ დავითთან ერთად.

უდიდესი პატივისცემით
ანზორ დიასამიძე.

თბილი, მყუდრო და ლამაზი ოჯახი აქვს ქალბატონ მერის: მისი მეუღლე კაცურკაცობით გამორჩეული დათო ფირცხალაიშვილი წლების განმავლობაში უნივერსიტეტში იღვწოდა. ქალიშვილი ალისა– პედაგოგი, ხოლო შვილიშვილი მარიამი ფარმაცევტია.

ღვაწლმოსილ და ვალმოხდილ პედაგოგს ვულოცავთ საიუბილეო თარიღს. დაე სითბოთი და სიკეთით ჰქონოდეს აღვსილი ყოველი დღე.

თამაზ ფუტკარაძე – 50

პედაგოგი, მეცნიერი, მოღვაწე

ბატონო თამაზ, მოგესალმებით და გულწრფელი სიყვარულით გილოცავთ თქვენი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ღირსსახსოვარ თარიღებს – დაბადებიდან 50-ე და სამეცნიერო- პედაგოგიური მოღვაწეობის 25-ე წლისთავს.



დახვეწილი, ერუდირებული, სპეტაკი, შინაგანი კულტურითა და სხვა მაღალადამიანური და პედაგოგიური ღირსებებით შემკული, ღვთისმოსავი პიროვნება, სანაქებო ისტორიკოსი, მეცნიერ-პედაგოგი და ორგანიზატორული ნიჭით გამორჩეული ხელმძღვანელი — ასე იცნობს ბატონო თამაზს ფართო საზოგადოება; იცნობენ როგორც გულმართალ, უაღრესად ობიექტურ, პირდაპირ, პრინციპულ, უსამართლობისა და სხვა მანკიერებისადმი შეურიგებელ, უკომპრომისო მუშაკს, სხვისი ჭირისა და ლხინის გამზიარებელ, სხვა ადამიანებზე მუდამ მზრუნველ, ჰუმანურ, კეთილშობილ, საქვეყნო ინტერესებით შთაგონებულ, კაცთმოყვარე, საიმედო მეგობარს. „ხამს მოყვარე მოყვარისთვის, თავი ჭირსა არ დამრიდად“ — რუსთაველის ეს ბრძნული შეგონება მისი ცხოვრების კრედოს წარმოადგენს. ის გახლავთ ყველა სასიკეთო, ღირსახსოვარი, ლამაზი საქმის ერთ-ერთი ინიციატორი და შემოქმედი. მისი ინიციატივით დაფუძნდა ფონდი „საძმო“ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განვითარების ფონდი, ასევე იყო ერთ-ერთი ინიციატორი და დამფუძნებელი რეგისტრირებული კავშირისა „მარეთი“, რომელსაც ედგა სათავეში სამი წლის განმავლობაში; ამიტომაც უყვარს საზოგადოებას ბატონი თამაზი, მიაჩნიათ იგი ღვთიური ბუნების კაცად.

მთაში დაბადებულს, მთის ჰაერივით სუფთასა და უხინჯოს, განგებამ იმთავითვე დაანათლა სიკეთის ქმედების მადლი, ამიტომაც თავიდანვე სიტყვის კაცად ჩამოყალიბდა და ტაძრისკენ მიმავალი გზიდან არასოდეს გადაუხვევია.

„დედაენის“ ხიბლს და მადლს ბატონი თამაზი წელათის დაწყებით სკოლაში ეზიარა. აქ შეიცნო „ფერუთვალავი სამყარო“, აქედან დაიწო მისი ხატი-მამულის, ადამიანების სიყვარულის, შემოქმედებითი ძიების, წვისა და დაგვის გზა-სავალი. შუბნის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ცოდნას მოძალებული ჭაბუკი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში გულდადებით ეუფლებოდა როგორც ისტორიულ მეცნიერებას, ისე პედაგოგიურ ხელოვნებას.

პედაგოგიური პროფესიის ხიბლს ახალსოფლის საშუალო სკოლაში ეზიარა. ღვთით მომადლებული პედაგოგიური ნიჭი და გონიერება, სხარტი აზროვნება, შესაშური გულმოდგინება, მტკიცე, მებრძოლი ბუნება, ენთუზიაზმი, ბავშვებისა და პროფესიის სიყვარული დასაწყისშივე სახელს უხვეჭდა ბავშვთა მესაიდუმლე, მაძიებელ, ხელოვან პედაგოგს. ბავშვებს ხიბლავდა მისი კეთილგონიერება, თანამშრომლობა, მზრუნველი დამოკიდებულება და თანადგომა, მათი ტკივილისა და სიხარულის გაზიარება, აზრებისა და მისწრაფებების გათავისება, მათთან თანატოლივით საუბარი. პრობლემური სიტუაციების ერთობლივი განხილვა და მოგვარების გზების ერთად ძიება, მოწაფეთათვის შეხედულებათა თავისუფლად გამოხატვის სწავლება და განსხვავებული აზრის პატივისცემა მისი დიდაქტიკის პრინციპებს წარმოდგენს.

ამის შემდეგ ბატონი თამაზი სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურაში დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები (1993წ., 2002წ.). მას დაეკისრა არაერთი პასუხსაგები მოვალეობა: შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის, დეკანის, პრორექტორის, გამომცემლობის დირექტორის, აბიტურიენტთა მოსამზადებელი განყოფილების სასწავლო პროცესის კოორდინატორის თუ აჭარის საარქივო დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობები. არის 10 წიგნისა და 110-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი; რამდენიმე დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი. მან მონოგრაფიულად შეისწავლა აჭარის მაღალმთიანი რაიონების მოსახლეობის ისტორიულ-ეთნოლოგიური საკითხები და მეტად საყურადღებო, საინტერესო მასალა მიაწოდა მკითხველს.

ბატონ თამაზის სამეცნიერო-პედაგოგიურ და აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან ერთად ფასდაუდებელია მისი, როგორც პედაგოგის და აღმზრდელის როლი სტუდენტ-ახალგაზრდობის განსწავლულობასა და ზნეობრივ სრულქმნაში. მისი დამაჯერებელი, შთაგონებული თხრობით, არგუმენტირებული მსჯელობით და ფართო ერუდიციით, დასწრებულ-დაუსწრებელი მოგზაურობით სტუდენტების თვალწინ შთამბეჭდავად იშლება ცოდნის ჯადოსნური სამყარო, თანდათან უფართოვდებათ ცოდნა სამშობლოს წარსულსა და აწმყოზე, უვითარდებათ ლოგიკური აზროვნების უნარი, ეუფლებიან ბავშვის სულის მართვის ხელოვნებას.

როგორც ღვაწლმოსილ მეცნიერ-პედაგოგს, ბატონ თამაზს არ აკლია საპატიო ჯილდოები, წარჩინების ოფიციალური ნიშნები, ორჯერ მიენიჭა თედო სახოკიას დარგობრივი პრემია. არის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა სადროშოს წევრი. ყველაზე ძვირფასი ჯილდო კი მისთვის ის დიდი სიყვარული და პატივისცემაა, რომლითაც სარგებლობს საზოგადოებაში.

ბატონი თამაზის სიმდიდრეა სიყვარულით გამთბარი, ტკბილი, გულიანი მასპინძლობით გამორჩეული ოჯახი. მოსიყვარულე მეუღლესთან — მედეა ბერიძესთან ერთად მან ორი სამაგალითო შვილი- ქეთინო და კახა აღუზარდა ქვეყანას.

ბატონი თამაზის მზე ჯერ მხოლოდ ზენიტშია და სითბოს, სიკეთეს და სიყვარულს ასხივებს. წინ დიდი ცხოვრების გზა უდევს- ფიქრით, შრომითა და ბრძოლით გასავლელი. სულის მზიანობა ნუ მოჰკლებოდეს მისი ლამაზი ცხოვრების შუადღის მზით გაბრწყინებულ გზას.

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის, „საძმოსა“ და მეგობართა სახელით

გიჭიკო დიასამიძე
ოთარ ფუტკარაძე
ოთარ ცეცხლაძე
აკაკი ზოიძე
შოთა მახარაძე
რეზო უზუნაძე
შოთა მამულაძე
მერაბ მეგრელიშვილი...

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტ-ახალგაზრდობას, ტექნიკურ პერსონალს, გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტის“ მკითხველებს გილოცავთ ახალ 2012 წელს. მედნიერებისა და წინსვლის წელი ყოფილიყოს სრულიად საქართველოსათვის, მშვიდობა, ჯანმრთელობა, შემოქმედებითი წარმატებები, ოჯახური სითბო და სიყვარული დაგვედებოდეთ.

ედიშერ ჩავლეიშვილი,
რსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

დამდეგ ახალ წელს და შობის ბრწყინვალე დღესასწაულს ვულოცავ სრულიად საქართველოს, თითოეულ ახალგაზრდას.

2012 წელი მშვიდობის, გამთლიანების, აღმშენებლობის და სიკეთის მომტანი ყოფილიყოს. უფალი შეგვწიოს ყველა კეთილ საქმეში.

თვითმმართველი ქალაქის -
ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი კირთაძე

ძვირფასო მეგობრებო,

გილოცავთ დამდეგ 2012 წელს. ჯანმრთელობა, სიკეთე, სიხარული, გამრავლება, სანუკვარი ოჯნებების ახდენა დაგვედებოდეთ.

გასული წელი ჩვენი უნივერსიტეტისთვის ხვავრიელი იყო, ვისურვებდი ჩვენ, ყველას ერთად მომავალ წელსაც გაგვემდიდრებინოს უნივერსიტეტის მატიანე ახალი, მნიშვნელოვანი წარმატებებით.

რსუ-ს რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში,
ნათია წიკლაშვილი

„...ამას აშშ-ში ნამდვილ პროცესზე ნამდვილი პროკურორები აკეთებენ“

იმიტირებულ სასამართლო პროცესში, რომელიც საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს შორის 1-2 დეკემბერს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ გაიმართა, ათ საუკეთესო გუნდს შორის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტებიც მონაწილეობდნენ. ისინი ოთხ ნახევარფინალისტს შორის აღმოჩნდნენ. ნახევარფინალი საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაიმართა.

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდის ხელმძღვანელი ადვოკატი დავით გაბაიძე გახლდათ, რომელიც ამავდროულად რსუ-ს იურიდიული კლინიკის კოორდინატორიცაა.

— ბატონო დავით, რას ემსახურებოდა იმიტირებული სასამართლო პროცესების ჩატარება და წინ რა მოსამზადებელი ეტაპები უძღოდა?

— მოგეხსენებათ, რომ საქართველოს მართლმსაჯულების სისტემა განვითარების ახალ ეტაპზე გადადის, რაც ქართულ სამართლებრივ სივრცეში ახალი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტის შემოტანაში გამოიხატება. საქართველოში აღნიშნული სიახლის დამკვიდრების პროცესში მნიშვნელოვანია ახალი თაობის იურისტებისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება და შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული სისტემის უფრო ეფექტური მუშაობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება. ამ მიზნით საერთაშორისო ორგანიზაცია USAID/JILEP-მა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით 75 სტუდენტი და საქართველოში არსებული სხვადასხვა უნივერსიტეტის 10 სამართლის ლექტორი — („ტრენერი“) მოამზადა ადვოკატირების ძირითად უნარ-ჩვევებში. ტრენინგი მიმდინარე წლის 4-5 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა. იქ მსმენელებს ისეთი უნარ-ჩვევები შეასწავლეს, როგორიცაა შესავალი და დასკვნითი სიტყვა, მოწმეების პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვა. პროგრამის ინტერაქტიული ფორმატის მიხედვით, სტუდენტებს იმიტირებული პრობლემის მაგალითის გამოყენებით უწევდათ ამ უნარ-ჩვევების დემონსტრირება მათი თანატოლების თანდასწრებით.

— ვისი ინიციატივით ჩატარდა იმიტირებული პროცესები და როგორ აღმოჩნდა იქ ჩვენი გუნდი?

— როგორც აღინიშნა, ტრენინგისა და იმიტირებული პროცესების ორგანიზება საერთაშორისო ორგანიზაცია USAID/JILEP-ის ხელშეწყობით და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით შედგა. ჩვენი გუნდი ტრენინგზე და შემდეგ შეჯიბრზე სწორედ საერთაშორისო ორგანიზაცია USAID/JILEP-ის ინიციატივით და დაფინანსებით აღმოჩნდა. ხსენებული საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლობას საქართველოში მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენი ფაკულტეტის, იურიდიული კლინიკისა და სტუდენტების სახელით. განსაკუთრებული მადლობა მინდა მოვახსენო აგრეთვე აღნიშნული ორგანიზაციის თანამშრომელს, იურიდიული განათლების სპეციალისტს, ბატონ ლაშა ჯუღელს, რომელმაც დიდი მორალური და ტექნიკური მხარდაჭერა გაუწია ჩვენს გუნდს ტრენინგისა და იმიტირებული პროცესების მსვლელობის დროს.



— ტრენინგსა და იმიტირებულ პროცესებში სწავლების რომელი საფეხურის სტუდენტები მონაწილეობდნენ?

— ტრენინგსა და იმიტირებულ პროცესებში მონაწილეობდნენ როგორც ბაკალავრები, ისე მაგისტრანტებიც (ზურაბ მამულაძე, გიორგი მიქელაძე, თეა ჯანჯღავა, დავით ქარცივაძე, თამილა აბუსელიძე, ნათია არველაძე, გიორგი გოგიჩაიშვილი, პაატა დიასამიძე, ზვიად მეგრელიძე, თამუნა აბაშიძე). ტრენინგზე გაიმართა რამდენიმე საჩვენებელი პროცესი, მათ შორის ერთში ჩვენი გუნდიც მონაწილეობდა. კენჭისყრის შედეგად საჩვენებელ პროცესზე ჩვენი გუნდის „მოწინააღმდეგედ“ დასახელდა თავისუფალი უნივერსიტეტის გუნდი. სასამართლო პროცესში ჩვენმა გუნდმა გაიმარჯვა. აღსანიშნავია, რომ ჩვენი გუნდი დაკომპლექტებული იყო ბაკალავრებით და საგულისხმოა, რომ ამის მიუხედავად მან ტოლი არ დაუდო მაგისტრანტთაგან დაკომპლექტებულ სხვა გუნდებს.

— როდის გაიმართა იმიტირებული პროცესები და რა შედეგი აჩვენა ჩვენმა გუნდმა იმიტირებულ პროცესებზე?

— შეჯიბრება იმიტირებულ პროცესში ჩატარდა მიმდინარე წლის პირველ და ორ დეკემბერს და მასში მონაწილეობდნენ საქართველოს 10 საუკეთესო უნივერსიტეტის გუნდები. პირველ დეკემბერს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ გაიმართა იმიტირებული პროცესების შესარჩევი ეტაპი, რომლის გამარჯვებულ ოთხ ნახევარფინალისტს შორის ჩვენი გუნდიც მოხვდა შემდეგი შემადგენლობით: გიორგი მიქელაძე, ნათია არველაძე, ზურაბ მამულაძე, თამილა აბუსელიძე. ჩვენი უნივერსიტეტის გუნდმა კავკასიის სამართლის სკოლის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს უნივერსიტეტის, შავი ზღვის საერთაშორისო, ქართულ-ამერიკული და სოხუმის უნივერსიტეტების გუნდებს გაუსწრო. ნახევარფინალური შეხვედრები კი საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაიმართა.

— ვინ აფასებდა იმიტირებულ პროცესებზე გუნდების გამოსვლას?

— ტრენინგზე გამართულ საჩვენებელ პროცესებს უცხოელი სპეციალისტები, ჯგუფურ ეტაპს – ქართველი, ნახევარფინალურს კი ამერიკელი სპეციალისტები აფასებდნენ, ნახევარფინალი და ფინალი კი შეაფასა ორი ქართველი და ერთი ამერიკელი სპეციალისტისგან დაკომპლექტებულმა „სასამართლო კოლეგიამ“.

— როგორი შეფასება მიიღო ჩვენი უნივერსიტეტის გუნდმა ამერიკელი სპეციალისტებისგან?

— საგულისხმოა, რომ იმიტირებული პროცესების დროს ქართველ შემფასებლებთან ერთად უცხოელი (ამერიკელი) სპეციალისტებიც ჯეროვნად აფასებდნენ ჩვენს გუნდს და ამის შესახებ ისინი ხმამაღლა აცხადებდნენ. მაგალითად, ნახევარფინალში, სადაც ჩვენი გუნდი ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს დაუპირისპირდა, ამერიკელმა სპეციალისტმა აღნიშნა, რომ „გუნდმა ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც ამას აშშ-ში ნამდვილ პროცესზე ნამდვილი პროკურორები აკეთებენ“. ჩემი აზრით, აღნიშნული ნამდვილად არის ის ფაქტი, რომელიც პირველ რიგში სტუდენტებს დაარწმუნებს საკუთარ თავსა და საკუთარ ძალებში, ხოლო მეორე მხრივ — ამ სტუდენტების ლექტორ- მასწავლებლებს დაგვარწმუნებს იმაში, რომ იმ შრომას და ძალისხმევას, რაც ჩვენ ამ სტუდენტებისათვის ცოდნის გადასაცემად დავხარჯეთ, ფუჭად არ ჩაუვლია.

დასასრულ, მინდა უნივერსიტეტს და შეჯიბრებაში მონაწილე სტუდენტებს მივულოცო მიღწეული წარმატება და ვუსურვო მომავალში უკეთესი შედეგების მოპოვება.

ნ. მ.

გილოცავ დამდეგ შობა–ახალ წელს გაჯალრავებულო, მაგრამ მუდავ ახალგაზრდავ, სტუდენტი ახალგაზრდების ურიამულით, შრომისა და ძიების ენერგიით აღჭურვილო ჩემო უნივერსიტეტო, ძვირფასო სტუდენტებო, სასურველო კოლეგებო. ნარმატებები დაგბედებოდეთ!

ვულოცავ ჩემს სასურველ ბათუმს სასოფლოთაო ალირებას, დიდ ჯილდოს. ახალი მიღწევების, აშენებადამშვენების მახარობელი იყოს.

ვულოცავ ჩემს ქვეყანას, მის ხალხს დამდეგ ახალ წელს და ვუსურვებ, კიდევ უფრო წარმატებული იყოს მომავალი.

ბიჭიკო დიასამიძე, *ემერიტუსი*

დამდეგ შობა–ახალ წელს ვულოცავ ჩემი უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელს, პროფესორ–მასწავლებლებს და სტუდენტებს.

ფეხბედნიერი, ბარაქიანი და ნარმატების მომტანი ყოფილიყოს 2012 წელი ყველასათვის.

ბევრი ლიმილი, ულევი სიხარული და ღვთის წყალობა არ მოჭკლებოდეს სრულიად საქართველოს.

რუსუდან ბერიძე

ფსიქოლოგიის აკადემიური დოქტორი

ჩვენი უნივერსიტეტის ძვირფასო თანამშრომლებო!

დგება ერთ–ერთი ყველაზე ლამაზი, ემოციური და სასურველი დღესასწაული – შობა–ახალი წელი, რომელსაც სულითა და გულით ვულოცავ ჩვენს პროფესორ–მასწავლებლებს, ძვირფას სტუდენტებს.

პირველ რიგში მინდა გისურვოთ ჯანმრთელობა და ბედნიერება. ვისურვებდი ავოთვე, რომ სწორადდ და უმტკივნეულოდ გადაგვალახოს უმაღლესი განათლების ევროპულ სისტემაში ლირსეული ინტეგრაციისათვის საჭირო მიმდინარე რეფორმები, რომ ჩვენს უნივერსიტეტში ემუშაოთ ლირსეულ პროფესორ–მასწავლებლებს, რათა დავნერგოთ მნიშვნელოვანი ტრადიციები და მივიზიდოთ სტუდენტები სხვა რეგიონებიდან და ქვეყნებიდან.

მე მჯერა ჩვენი უნივერსიტეტის მომავლის.

კიდევ ერთხელ მთელი გულით გილოცავთ დამდეგ შობა–ახალ წელს.

ასოცირებული პროფესორი **ილია ნაკაშიძე**

ბიბლიოთეკა მკითხველის სამსახურში

ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის სამომავლო მიზნების, გეგმებისა და ამოცანების შესახებ ამავე ბიბლიოთეკის დირექტორი, ქალბატონი ლელა თურმანიძე საუბრობს:

— ქალბატონო ლელა, რამდენი ხანია, რაც ბიბლიოთეკის დირექტორად მუშაობთ და თქვენ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათაგან რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი?

— 2011 წლის 17 თებერვალს აკადემიურმა საბჭომ ამირჩია ბიბლიოთეკის დირექტორად. ეს ჩემთვის ახალი სფერო იყო. ამდენად, გარკვეული პერიოდი დამჭირდა, ვიდრე შევაფასებდი არსებულ მდგომარეობას, გავერკვეოდი სტრუქტურულ წყობაში. დასაწყისიდანვე გავეცანი სხვა ბიბლიოთეკების სტრუქტურას, სერვისებს, გამოცდილების გაზიარებისა და მეთოდური რჩევებისთვის მივმართე საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას. მადლიერებით მინდა აღვნიშნო პარლამენტის ბიბლიოთეკის თანამშრომლების თანადგომა. ვთანამშრომლობთ ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკასთან, თბილისის ივანე ჯავახიშვილის და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ასევე ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებთან. ვმუშაობთ გაცვლითი ფონდის ორგანიზების საკითხებზეც.

პირველ რიგში მოვაწესრიგეთ იურიდიული მხარე. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში გაერთიანდა როგორც ილია ჭავჭავაძის (ე.წ. „ცენტრალური“) ბიბლიოთეკა, ასევე საფაკულტეტო და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ბიბლიოთეკები. დაგვევალა ფონდების ინვენტარიზაცია და ცენტრალური საკატალოგო სისტემის მოწყობა, რამდენიმე თანამშრომელი გაიგზავნა სპეციალურ სემინარებზე ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

მკითხველისთვის ცნობილია, რომ 2006 წლიდან რსუ-ში მოხდა რამდენიმე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ინტეგრაცია. დღემდე არ ჩატარებულა შემოერთებული ბიბლიოთეკების ინვენტარიზაცია, ფონდების აღრიცხვა და არ შექმნილა ერთიანი საკატალოგო სისტემა. ფაქტობრივად, უნივერსიტეტი ვერ ფლობს ინფორმაციას არსებული რესურსების შესახებ.

დაიწყო ინვენტარიზაციის პროცესი, რაც მართალია, ხანგრძლივი პროცესია, მაგრამ შესაძლებელს გახდის სრულყოფილად შეფასდეს და ეფექტურად გამოვიყენოთ ბიბლიოთეკის რესურსები.

ბიბლიოთეკა მუშაობს გატანილი საბიბლიოთეკო დოკუმენტების ბიბლიოთეკისათვის დაბრუნებაზე. დაწესდა კონტროლი წიგნების დროულ დაბრუნებასა და დაკარგულის ნაცვლად შინაარსობრივად თავსებადი და თანამედროვე, აქტუალური ლიტერატურის შემოტანაზე.

მომხმარებლის აზრის გამოკვლევისა და მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებების შემუშავების მიზნით, შემოვიღეთ საქმიანი წინადადებების წიგნი, სადაც ნებისმიერ მომხმარებელს აქვს საშუალება დააფიქსიროს აზრი ბიბლიოთეკით მომსახურების დადებითი ასპექტების, არსებული ხარვეზებისა და მომსახურების გაუმჯობესების საჭიროების შესახებ.

შემუშავდა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცდა „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“, რაშიც გათვალისწინებულია საბიბლიოთეკო რესურსების დაცვის მექანიზმები.

— რამდენად უზრუნველყოფილია უახლესი გამოცემებით მომხმარებელი?

— მინდა აღვნიშნო, რომ ბიბლიოთეკას აქვს ძალიან დიდი მხარდაჭერა უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციისგან. მიმდინარე წელს უნივერსიტეტმა შეიძინა 78 385 ლარის ღირებულების 1364 ეგზემპლარი, 412 დასახელების წიგნი. (824 სახელმძღვანელოა, ხოლო 189 დამხმარე სახელმძღვანელო). მომდევნო წლის ბიუჯეტში წიგნების შესაძენად გათვალისწინებულია 90 ათასი ლარი. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ჩვენი პროფესორ-მასწავლებლების მიერ აკრედიტაციისათვის მზადების პერიოდში უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისთვის საჩუქრად გადაცემული ლიტერატურის შესახებ, სულ შემოვიდა 1239 ეგზემპლარი, 1170 დასახელების 13 460 ლარის ღირებულების წიგნი, მათ შორის 366 სახელმძღვანელოა.

დღეისათვის შესყიდული და ნაჩუქარი წიგნები დამუშავებულია სათანადოდ, დაწერილია კატალოგები და მომხმარებელს შეუძლია გამოყენება. მთავარია, კარგად დაიგეგმოს მომავალ წელს შესაძენი ლიტერატურის ჩამონათვალი, ამ საკითხში აკადემიური პერსონალისა და მეცნიერ-თანამშრომლების თანადგომის იმედი მაქვს, მხოლოდ მათი დახმარებით შეიძლება შეირჩეს სასწავლო და კვლევითი პროცესისთვის საჭირო აქტუალური ლიტერატურა.

— როგორ შეაფასებდით დირექტორის გადასახედიდან ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის ცხოვრებას?

— ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკა ფაქტობრივად უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკაა, ამდენად იგი გამორჩეული უნდა იყოს როგორც მომსახურების სერვისით, ფონდებით და კარგად ორგანიზებული კატალოგებით, ასევე დიზაინითა და სამუშაო პირობებითაც.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ სამკითხველო დარბაზი მომსახურების გაუმჯობესების მიზნით უზრუნველყო გათბობა-კონდიცირებით.

ბიბლიოთეკის ელექტრონულ რესურსებს დაემატა „დისტანციური სწავლების ცენტრი“. ამ ოთახში შეუძლიათ დოქტორანტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს იმუშაონ და ისარგებლონ ინტერნეტითა და კომპიუტერული ტექნიკით.

სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, რექტორის ინიციატივით, რსუ-ს გამომცემლობის მიერ გამოცემული წიგნებიდან 5–5 ეგზემპლარი გადაეცემა ბიბლიოთეკას.

რაკიღა ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის ცხოვრებაზე მეკითხებით, მოდით ეს მკითხველმა შეაფასოს. ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი, მომხმარებელი რომ კმაყოფილი გვყავდეს, თუმცა იმდენად დიდ ყურადღებას აქცევს უნივერსიტეტის რექტორი და ადმინისტრაცია ბიბლიოთეკის განვითარებას, რომ მე იმედიანად ვარ.

თავად ჩემთვის ძალიან საინტერესოა აქ მუშაობა. ვფიქრობ, კარგი კოლექტივი მყავს. გასულ ზაფხულს, ერთდროულად შემოვიდა შესყიდული წიგნებიცა და პროფესორ-მასწავლებელთა მიერ ნაჩუქარი ლიტერატურაც. ახალი სასწავლო წლის დასაწყისისთვის შეძენილი ლიტერატურა სათანადოდ დამუშავებული უნდა გვქონოდა. იმ დროს, როცა თითქმის მთელი უნივერსიტეტი ისვენებდა, ჩემი თანამშრომლები: მზია ჯიბუტი, მერი ლომინაძე, მერი კონცელიძე და ნათია ბურჭულაძე თავაუღებლივ მუშაობდნენ, მათ მართლაც წარმოუდგენლად მოკლე დროში მოახერხეს ახალი ლიტერატურის აღწერა და კატალოგებში ჩართვა.

– როგორია შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის სამომავლო მიზნები, გეგმები და ამოცანები?

— ბედნიერი ვიქნები, თუ ბიბლიოთეკის მომხმარებელი, სტუდენტი-ახალგაზრდობა და პროფესორ-მასწავლებლები კმაყოფილნი იქნებიან ბიბლიოთეკის მუშაობით, თუ ბიბლიოთეკა იქცევა მათთვის კომფორტულ სამუშაო გარემოდ და ინფორმაციის წყაროდ. რაც შეეხება გეგმებს, ჩვენ დაწყებული გვაქვს საკმაოდ რთული საქმე. როგორც ჩვენმა მკითხველმა იცის, 2006 წლიდან რსუ-ში მოხდა არაერთი დაწესებულების ინტეგრაცია, ყოველ მათგანს ჰქონდა თავისი ბიბლიოთეკა. დღემდე არ მომხდარა აღნიშნული ფონდების აღწერა და ინვენტარიზაცია, მათ შორის ცენტრალური ბიბლიოთეკის ფონდებისაც. პროცესი დავიწყეთ, მაგრამ პერსონალის არასაკმარისი რაოდენობის გამო ნელი ტემპით მიიწევს წინ. სურვილი გვაქვს გავწევრიანდეთ ინტეგრირებული ბიბლიოთეკის პროგრამა „evergreen“-ში, პროგრამის დანერგვა გულისხმობს ელექტრონული საძიებო სისტემის მოწყობას, მომხმარებელთა ელექტრონულ რეგისტრაციას, წიგნების დაჯავშნას ინტერნეტის საშუალებით, რაც უფრო მოქნილს გახდის ბიბლიოთეკით სარგებლობას და გამორიცხავს მომსახურებაში სუბიექტივიზმისა და არაობიექტურობის რისკს. გასულ წლებში მისაწვდომი იყო სხვადასხვა ელექტრონული ბაზა, თუმცა სერვისი არცთუ ისე სახარბიელო იყო. ჩვენი პერსონალი ტექნიკური მიზეზების გამო ყოველთვის ვერ ახერხებდა მისთვის საინტერესო ინფორმაციის მოძიებას, ამ მიმართებითაც გვსურს პირობების გაუმჯობესება.

საუბრის დასასრულს მინდა ახალი წელი მივულოცო ჩვენს უნივერსიტეტს, მის ყოველ სტუდენტს თუ თანამშრომელს. ბედნიერების, წინსვლის, სიკეთის, სიუხვისა და სულიერი სიმშვიდის წელი ყოფილიყოს...

გამოცხადდა კონკურსი ERASMUS MUNDUS - ის მეორე აქტივობის პროექტის ALRAKIS ფარგლებში

2011 წლის კონკურსის შედეგების საფუძველზე, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის ERAZMUS MUNDUS - LOT 7 პროგრამა წარმოდგენილია ახალი კონსორციუმით, აღნიშნულ კონსორციუმში სხვა ქართულ უნივერსიტეტებთან ერთად ჩვენი უნივერსიტეტიც მონაწილეობს. პროექტი “ALRAKIS“-ი გულისხმობს სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობას სამხრეთ კავკასიისა და ევროპის ქვეყნებს შორის.

პროექტის კოორდინატორია გიოტინგენის უნივერსიტეტი (გერმანია), ევროპის ქვეყნებიდან კონსორციუმის სხვა წევრებია ვარშავის სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების უნივერსიტეტი (პოლონეთი), სანტიაგოს უნივერსიტეტი (ესპანეთი), ტალინის უნივერსიტეტი (ესტონეთი), ტუსკიას უნივერსიტეტი (იტალია), ლივენის კათოლიკური უნივერსიტეტი (ბელგია), გრაცის უნივერსიტეტი (ავსტრია).

პროექტის ფარგლებში მობილობა გამოცხადდა და განაცხადები მიიღება 2011 წლის 15 დეკემბრიდან 2012 წლის 15 მარტამდე. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ ვებგვერდს: www.alrakis.eu. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროექტის კოორდინატორია რსუ-ს ბიბლიოთეკის დირექტორი, ასოცირებული პროფესორი ლელა თურმანიძე.

2011 წელი, ვფიქრობთ, საკმაოდ წარმატებული იყო ჩვენი უნივერსიტეტისათვის. მომავალი უკეთესი ყოფილიყოს! ღმერთმა ინებოს ყველა ოჯახში ბედნიერი ახალი წლის გათენება. სიკეთე, სიხარული, სიყვარული და უსაზღვრო ბედნიერება იყოს თითოეული ჩვენგანის თანამდევი. გილოცავთ!

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე

ირაკლი ბარამიძე

ახალ წელს ვულოცავ მთელ საქართველოს, ვუსურვებ სიძლიერეს და სიმშვიდეს. განსაკუთრებით ვულოცავ ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს, ყველა იმ ადამიანს, ვინც წლების განმავლობაში ემსახურებოდა ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. ყველაფერი წუდი და უსიამოვნო ძველ წელს ნაეღოს, ყველა ადამიანის გული მოთმინებითა და სიყვარულით ავსილიყოს და ერთად გვეცხოვროს ბედნიერ საქართველოში.

ასიკო ცინცაძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და თანამშრომლებს, სრულიად საქართველოს ვულოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს. ვუსურვებ გაერთიანებულ, მშვიდობიან და ბედნიერ საქართველოში ცხოვრებას.

ოჯნებების ახდენის, სიკეთისა და წარმატებების მომტანი ყოფილიყოს ახალი 2012 წელი.

აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსი

ელისო ძნელაძე

შობა მაცხოვრისა



„იშვა ქრისტე, იშვა იგი, რომელმან ნათელ-სცა ქვეყანას სულითა წმიდითა, იშვა იგი დედისაგან, რომელ კურთხეულ არს დედათა შორის.“ შობა — ეს უდიდესი მოვლენაა, დღესასწაულთა დღესასწაულია. იესო ქრისტე ქალაქ ბეთლემში, ერთ პატარა გამოქვაბულში იშვა. პირველად მაცხოვრის შობა წარმართმა მოგვებმა შენიშნეს, მათ შეამჩნიეს ცაზე აღმოსავლეთის ვარსკვლავი, რომელიც განსაკუთრებულად კაშკაშებდა და მოესმათ ზეციური ხმა: „ოსანა მაღალთა შინა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა“. ეს იმის ნიშანი იყო, რომ გამოქვაბულში იშვა მხსნელი. პირველები, ვინც ახლად დაბადებულ მხსნელს თაყვანისცეს, მწყემსები, ბუნების ჭეშმარიტი შვილები იყვნენ. მე, როგორც მართმადიდებელ ქრისტიანს მსურს, რომ ჩვენ ვიყოთ ჭეშმარიტი შვილები უფლისა და მაცხოვრისა, რომელნიც თაყვანსვცემთ უფალსა და ვიქნებით მსახურნი მისი სახლისა. ქრისტეშობის დღესასწაულს მართმადიდებლური ეკლესია აღნიშნავს იულიუსის კალენდრით 7 იანვარს. შობა უდიდესი საეკლესიო დღესასწაულია, რომელსაც, როგორც მაცხოვრის შობის დღესასწაულს მარხვით, ლოცვით, აღსარებით, ზიარებით და ღვთისსათნო მსახურებით ხვდებიან. ახალი წლისგან განსხავებით, შობის ყოველ დღესასწაულზე პატრიარქის ლოცვა-კურთხევით მიმდინარეობს ლიტანია; თითოეული მორწმუნე ადამიანი შობის ღამეს სარკმელთან სანთელს ანთებს და მიდგომილ ღვთისმშობელს სახლში უხმობს.

გილოცავთ ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაულს, იესო ქრისტე ყოფილიყოს თქვენი და თქვენი ოჯახის მფარველი, უფალმა გაგაძლიეროთ.

გვანცა საბაშვილი,
ჟურნალისტიკის სპეციალობის მე-2 კურსის მაგისტრანტი

„გაიღეთ ქველმოქმედება სიყვარულისთვის“

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერით სააქტო დარბაზში საქველმოქმედო კონცერტი „გაიღეთ ქველმოქმედება სიყვარულისთვის“ გაიმართა. წმ. ეკატერინეს სახელობის სათნოების სახლთან არსებულმა ანსამბლმა „სათნოებამ“, რსუ-ს ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ტბეთმა“ და მგალობელთა გუნდმა „ფერიცვალებამ“ ქართული საგალობლები, ეროვნული ცეკვები, ხალხური და ქალაქური სიმღერები შეასრულეს. საქველმოქმედო კონცერტიდან შემოსული თანხა წმ. ეკატერინეს სახელობის სათნოების სახლს მოხმარდება.

ვახტანგ შამილაძის სახელობის აუდიტორია გაიხსნა

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 43-ე აუდიტორიას ცნობილი ქართველი ეთნოლოგის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, რსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის, სრული პროფესორის ვახტანგ შამილაძის სახელი მიენიჭა. ღვაწლმოსილი პროფესორის ხსოვნისადმი მიძღვნილ შეხვედრაზე აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა მიხეილ მახარაძემ, რსუ-ს რექტორის მოადგილემ ირაკლი ბარამიძემ, პროფესორ-მასწავლებლებმა, სტუდენტებმა და ოჯახის წევრებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს ცნობილი მეცნიერის ღვაწლი, მიღწევები და განვლილი გზა.

სამოქალაქო აქტიურობის ხელშეწყობის პროგრამა

სააქტო დარბაზში პროექტის „სამოქალაქო აქტიურობის ხელშეწყობის პროგრამის“ შემაჯამებელი კონფერენცია ჩატარდა. პროექტის მონაწილე რსუ-ს განათლებისა და მეცნიერების ფაკულტეტის სტუდენტებმა, მოსწავლეებმა და კოორდინატორებმა პროგრამის ეგიდით განხორციელებული აქტივობების შედეგები შეაფასეს, სპექტაკლი „საოცარი ექიმი“ და რამდენიმეწლიანი მუშაობის ამსახველი ვიდეორგოლი წარმოადგინეს. „სამოქალაქო აქტიურობის ხელშეწყობის პროგრამა“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით 2007 წლიდან ხორციელდება და მიზნად ისახავს სხვადასხვა სოციალური ფენისა და შესაძლებლობის მქონე მოზარდების დაახლოებას, საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვასა და ინტეგრაციას.

უნივერსიტეტის აღმინისტრაციას ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნები ჩატარდა. კენჭისყრაში მონაწილეობის მისაღებად საარჩევნო კომისიას რეგისტრაციისათვის სამმა კანდიდატმა მიმართა: ედიშერ ჩავლეიშვილმა, ზაზა დავითაძემ და ავთანდილ ღოღობერიძემ. აკადემიური საბჭოს სხდომაზე სამოქმედო გეგმის წარმოდგენის შემდეგ ზაზა დავითაძემ საკუთარი კანდიდატურა მოხსნა. საბჭოს წევრებმა ხმათა უმრავლესობით ედიშერ ჩავლეიშვილი აირჩიეს. ფარული კენჭისყრით მასვე დაუჭირეს მხარი წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა (ცხრამეტიდან თვრამეტი ხმა). რიგით მეოთხე კანცლერი უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავებამდე აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე იყო.

ვიზიტი ქალაქ ტერნოპოლში

ქალაქ ტერნოპოლის ეკონომიკურ, პედაგოგიურ და ტექნიკურ უნივერსიტეტებს სამდღიანი ვიზიტით შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე ირაკლი ბარამიძე ეწვია. უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელებთან გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა თანამშრომლობის მემორანდუმის პროექტი განიხილეს. დაიგეგმა სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა გაცვლითი პროგრამები, ერთობლივი სამეცნიერო ფორუმების ორგანიზება, საგანმანათლებლო პროგრამებისა და საგრანტო პროექტების განხორციელება. მომავალ წელს ქალაქ ტერნოპოლის ეკონომიკური, პედაგოგიური და ტექნიკური უნივერსიტეტების რექტორები რსუ-ს საპასუხო ვიზიტით ეწვევიან და ხელს მოეწერენ თანამშრომლობის მემორანდუმს.

თითოეული თანამშრომელს და სტუდენტს, მათ ოჯახებს, ჩემს ერს და სამშობლოს, მინდა მივულოცო დამდეგი შობა–ახალი წელი. ვუსურვებ, რომ მთელი წელი ზღვასავით ულევი, სიყვარული, გამძლეობა და წინსვლა ჰქონოდეთ. ჩვენი სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში ეს წელი გადამწყვეტი უოფილიყოს.

დაე, 2012 წელი კიდევ უფრო მეტად იყოს: სამართლის უზენაესობის, ეკონომიკური დოვლათის, სოციალური თანხმობისა და ერთიანობის წელი.

ადამ მახარაძე,
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი

ბათუმის უნივერსიტეტს, რომელმაც გაუძლო დიდ ისტორიულ გამოცდას და უდიდესი როლი ითამაშა უძველესი ქართული მხარის–აჭარის კულტურულ და მეცნიერულ განვითარებაში, დღევანდელობა და მომავალი უფრო დიდ ეროვნულ მისიას აკისრებს ერისა და ქვეყნის წინაშე. იყო ისტორიული საქართველოს ეროვნული საგანმანათლებლო კერა – ეს დიდი პატივია და მოვალეობაც.

ყველა უნივერსიტეტელს ვულოცავ ახალ წელს და ვუსურვებ ჯანმრთელობას, დიდ ბედნიერებას და თავდადებულ მოღვაწეობას ჩვენთვის ყველაზე მთავარ – საუნივერსიტეტო საქმიანობაში.

მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ვლადიმერ ბალაძე

სრულიად საქართველოს, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატს, ადმინისტრაციას, სპიკერატს, თითოეულ სტუდენტს, პროფესორ – მასწავლებელს და მათ ოჯახებს ვულოცავ შობა – ახალი წლის მობრძანებას.

მშვიდობიანი, ჯანმრთელი, წარმატებული, ბარაქიანი, ღირსებითა და გონიერებით შემკობილი, ნაყოფიერი საქმეებით დახუნძლული წელი ჰქონოდეთ.

გისურვებთ საგულისხმო განწყობას, წარმატებას ყველა მნიშვნელოვან წამონყებაში, ძალასა და შემართებას სწავლასა და შრომაში, აგხდენოდეთ ჩანაფიქრები და სურვილები, რომლებიც სიხარულისა და სიკეთის მომტანი იქნება თქვენთვის და თქვენი ოჯახებისათვის.

ღიმილიანი სახეები უმრავლოს ჩვენს ხალხსა და მთლიანად ქვეყანას ღმერთმა. მინდა ეს წელი ჯრილობების მოშუშების დასაწყისად იქცეს – ჩვენი განდევნილი ძმებისა და დების მშობლიურ კუთხეებში დაბრუნების მიზნით, საქართველოს გამთლიანებისა და გაძლიერებისათვის.

ოთარ შაინიძე, *აგრარული ტექნოლოგიებისა და ეკოლოგიის ფაკულტეტის დეკანი*

ახალი წელი ძველის გადაფასებისა და ახლის მოლოდინის გზაგასაყარია. ეს ის დროა, როდესაც ვაანალიზებთ განვლილს და ვხედავთ, რომ მრავალი გადაჭრილი პრობლემასთან ერთად გვრჩება გადაუწყვეტელი და გასათვალისწინებელიც; ამიტომაცაა, რომ თითოეული ადამიანი, ასაკის მიუხედავად, იმედით შეჰყურებს მომავალ წელს და მას ოცნებების ასრულებას უკავშირებს.

კეთილი სურვილებით მინდა მოგმართოთ თქვენ, ჩვენს სტუდენტებს, ქვეყნის იმედსა და მომავალს, ლექტორ–მასწავლებლებს, ვისაც ახალი თაობის აღზრდის საპატიო და საპასუხისმგებლო მისია გვაკისრია, ყველას, ვისთვისაც მშობლიური და ძვირფასია ჩვენი უნივერსიტეტი, გაჩასკროვნებული ახალი წელი გაგთენებოდეთ. სულის სიმშვიდე, სიკეთე, სიუხვე მოეტანოს მას თქვენთვის, თქვენი ოჯახებისთვის, ჩვენი სათაყვანებელი საქართველოსთვის.

ულევი სიკეთე, სიხარული და სიყვარული დაგბედებოდეთ და უფლის მადლი გფარავდეთ მუდამ!

განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი **მარინა ძორიძე**

პროფესორი ნადიმ ნიჟარაძე – დაბადებიდან 100 წლისთავი

არიან ადამიანები, რომელთა მიერ განვლილი ცხოვრების გზა სავსეა წინააღმდეგობებით, სიძნელეებით, მაგრამ საინტერესო, მისაბაძი და სხვისთვის ცხოვრების გზამკვლევია. რედიანგ კოპლინგი ამბობდა: „მე მყავს შვიდი მოქნილი და გამჭრიახი მსახური, ყველაფერი მათი წყალობით ვიცი; ჩემს ნიშანზე მყის ჩემთან მოდიან, მათი სახელებია: ვინ, რა, როდის, სად, როგორ, რატომ და რისთვის“. სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნება პროფესორი ნადიმ ნიჟარაძე, რომელმაც მთელი შეგნებული ცხოვრება ქვეყნისა და მომავალი თაობის აღზრდას მიუძღვნა. იგი აჭარის ინტელიგენციის იმ საუკეთესო წარმომადგენელთაგანია, რომლებმაც თავიანთ თავზე აიღეს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკმაოდ დიდი ტვირთი და ეს მისია ბრწყინვალედ შეასრულეს.

ნადიმ ნიჟარაძე დაიბადა 1911 წელს, ქედის რაიონის სოფელ ვაიოში. დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ დაამთავრა ქედის შვიდწლიანი სკოლა, ხოლო 1930 წელს ბათუმის პედაგოგიურ სასწავლებელს. ჭკუითა და გონებით სავსე ახალგაზრდა მთიელმა კაცმა უკიდურესი გაჭირვების წლებში (1931-1936), თბილისის საახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო უმაღლესი განათლება გეოგრაფიის სპეციალობით და აქტიურად ჩაერთო საზოგადოებრივ საქმიანობაში. 1936 წელს დაინიშნა აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორად; ამავე დროს იყო გეოგრაფიის მასწავლებელი ბათუმის პედაგოგიურ ტექნიკუმსა და სამასწავლებლო ინსტიტუტში, მოგვიანებით გახდა კათედრის გამგეც. 1937 წელს სრულიად ახალგაზრდა სპეციალისტი დაინიშნა აჭარის განათლების სახალხო კომისრად (შემდგომისათვის განათლების სამინისტრო), სადაც მუშაობდა 1944 წლამდე. ამ თანამდებობაზე მოღვაწეობის პერიოდში მისი უშუალო ინიციატივითა და მონაწილეობით აჭარაში არაერთი განათლების კერა შეიქმნა, სადაც მთიანი აჭარის ახალგაზრდობა დიდი ენთუზიაზმით ეზიარა სწავლა-განათლებასა და კულტურულ აღმავლობას.

ნ. ნიჟარაძის ინტერესის სფეროს წარმოადგენდა ეკონომიკური გეოგრაფიის მიმართულება. მან 1944 წელს ახლად შექმნილ ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალიზებულ საბჭოზე საქართველოში პირველმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „აჭარის ალპური მეურნეობა“. დისერტაცია იყო პირველი სერიოზული ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა, სადაც ავტორმა დეტალურად შეისწავლა მთიანი აჭარის მეურნეობის ძირითადი დარგის — მეცხოველეობის განვითარების მეცნიერული გზები. შესწავლილ იქნა აჭარის ალპური საზაფხულო, აგრეთვე, მთასა და ბარს შორის გარდამავალი სეზონური დასახლებანი (ეგრეთ წოდებული „ყიშლები“); მათი რაოდენობა, ტერიტორიული განლაგება, ფართობები, რესურსები, საკვები ბაზის თავისებურებანი, მოსარგებლე სოფლების რაოდენობა, გამოყენების ვადები და მომავალი განვითარების პერსპექტივები. საკმაოდ დიდი ყურადღება აქვს დათმობილი მეცხოველეობის პროდუქციის, განსაკუთრებით რძის პროდუქტების სახეების მრავალფეროვნების შესწავლას და ორიგინალურობას. ნაშრომში განხილულია მეცხოველეობასთან დაკავშირებული დამხმარე ნაგებობების, ინსტრუმენტების და შრომითი იარაღების სახეები.

ნ. ნიჟარაძე 1949-1954 წლებში იყო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი. მისი რექტორობის პერიოდში საკუთარი ინციატივით და დიდი ძალისხმევით ინსტიტუტის შენობაზე დაშენდა მესამე სართული და მოპირკეთდა ეზო. 1954 წლის ოქტომბრიდან სამუშაოდ გადავიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-მუშაკად; პარალელურად მუშაობდა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1955 წლის სექტემბრიდან დაბრუნდა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში გეოგრაფიის კათედრაზე დოცენტის თანამდებობაზე. 1963 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო გეოგრაფიის კათედრის უცვლელი გამგე.

ნ. ნიჟარაძემ 1957 წელს დოცენტ ნადია ჯიბუტის თანაავტორობით გამოაქვეყნა მონოგრაფია – „აჭარის ასსრ“ (ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომიკურ-გეოგრაფიული დახასიათება). მონოგრაფიაში დეტალურადაა შესწავლილი აჭარის ბუნების ძირითადი ელემენტების (გეოგრაფიული მდებარეობა, რელიეფი, გეოლოგიური აგებულება, ჰავა, შიდა წყლები, ნიადაგები, მცენარეთა და ცხოველთა სამყარო) თავისებურებანი და შეფასებულია რესურსების სამეურნეო გამოყენება; განხილულია აჭარის ისტორიულ-გეოგრაფიული განვითარება, მოსახლეობისა და მისი კულტურის საკითხები, აგრეთვე მეურნეობის ძირითადი დარგების განვითარების დინამიკა და მომავლის პერსპექტივები. ამასთან, განხილულ იქნა აჭარის ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომიკურ–გეოგრაფიული რაიონები. მონოგრაფიამ უდიდესი მოწონება დაიმსახურა როგორც სამეცნიერო წრეებში, ისე საზოგადოების ფართო მასებში და იგი გახდა რეგიონის მაცხოვრებელთათვის სამაგიდო წიგნი.

ნ. ნიჟარაძემ 1970 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის სპეციალიზებულ საბჭოზე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „მთისა და ბარის მოსახლეობის ცხოვრების დონის დაახლოების ეკონომიკურ-გეოგრაფიული პრობლემები და მისი გადაწყვეტის ცდა აჭარის ასსრ-ს მაგალითზე“. სადოქტორო ნაშრომში ნაჩვენები იყო მთისა და ბარის მოსახლეობის ცხოვრების დონის განსხვავება, რაც აიხსნებოდა როგორც ბუნებრივი პირობების, ისე მეურნეობრივი სტრუქტურის თავისებურებით. პრობლემის გადასაჭრელად ავტორმა დაასაბუთა მთიან რეგიონში მოსახლეობის შეკავების და ცხოვრების დონის ასამაღლებლად მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის მეტ-ნაკლებად გადახალისება და წარმოებულ პროდუქციაზე ფასების წახალისება. მას მთავარი აქცენტი გადატანილი ჰქონდა აჭარაში სოციალური სფეროს დაჩქარებულ განვითარებაზე. აღნიშნული კვლევა და დასაბუთება იმდენად არგუმენტირებული იყო, რომ საბჭოს წევრებს შორის დიდი მოწონება დაიმსახურა, ხოლო ავტორმა მიიღო მეცნიერებათა დოქტორის საძიებო ხარისხი (იმ დროისათვის საქართველოში ეკონომიკური გეოგრაფიის მიმართულებით მხოლოდ ორს ჰქონდა სადოქტორო დისერტაცია დაცული). მის მიერ ჩატარებული კვლევები შემდეგში გამოიყენეს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მთიან რეგიონებში.

ნ. ნიჟარაძე 1963 წლიდან მთელი ოცი წლის განმავლობაში, სიცოცხლის ბოლომდე იყო გეოგრაფიის კათედრის გამგე. მას მუდმივი სამეცნიერო კავშირი ჰქონდა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების აღიარებულ სამეცნიერო ორგანიზაციებთან და ცნობილ მეცნიერებთან. მისი ინიციატივით კათედრა შეივსო ახალგაზრდა თანამშრომლებით და უწევდა სამეცნიერო ხელმძღვანელობას.

პროფ. ნადიმ ნიჟარაძე 90 შრომის ავტორია. სხვა მონოგრაფიათაგან აღსანიშნავია „Советская Аджаря“(1961), (დ. დიასამიძის თანაავტორობით (1967) „აჭარის ასსრ“ „საბჭოთა აჭარა“ (1971), „Аджаря“ ნ. ჯიბუტის თანაავტორობით (1978). აღნიშნულ მონოგრაფიებში ძირითადად განხილული იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დინამიკა, მისი პრობლემები და მომავლის განვითარების გზები.

პროფ. ნ. ნიჟარაძის ამაგი ქვეყნისა და მშობლიური კუთხისათვის საკმაოდ დიდია. ჩვენ მოვალენი ვართ პატივი მივაგოთ ცნობილი მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის ნათელ ხსოვნას და მისი ცხოვრების გზა გავაცნოთ ახალგაზრდა თაობებს.

ასოცირებული პროფესორი
მერაბ ფუტკარაძე

მონოგრაფია „არეოპაგიტიკის“ წარდგინება

შოთა რუსთაველის დარბაზში ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მიხეილ მახარაძის მონოგრაფიის „არეოპაგიტიკის“ წარდგინება გაიმართა. ნაშრომში აღწერილია V-VI საუკუნეების მიჯნაზე შექმნილი უმნიშვნელოვანესი რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრების — არეოპაგიტიკის ფილოსოფიური, თეოლოგიური წყაროები და შეხედულებები. ავტორს განხილული აქვს პლატონის ფილოსოფია, ნეოპლატონიზმი, კაპადოკიელ მამათა მსოფლმხედველობა, არეპაგიტული ფილოსოფია და მისი გავლენა. მონოგრაფია განკუთვნილია დარგის სპეციალისტებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებებით დაინტერესებულთა ფართო წრისათვის.

სტუდენტებმა შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღე აღნიშნეს

გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNPRA) მიერ ტრენინგგავლილმა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის ჯანდაცვის მიმართულების 25-მა სტუდენტმა ქალაქის ხალხმრავალ ადგილებში საინფორმაციო-საგანმანათლებლო აქციები გამართა. ახალგაზრდებმა მოქალაქეებს შიდსის პრევენციის შესახებ საინფორმაციო ბუკლეტები დაურიგეს და სტიგმატიზმისა და დისკრიმინაციის დაგმობისაკენ მოუწოდეს. სტუდენტებმა საგანმანათლებლო დაწესებულებებში შიდსის თემატიკაზე ვიქტორინა ჩაატარეს და გამარჯვებულ მონაწილეებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს. აქცია სიმბოლურად უმაღლესი სასწავლებლის ეზოში ცის მანათობელი ფარნების გაშვებით დასრულდა.

ახალ, 2012 წელს გილოცავთ!

ნარმაცებულ და იმედის მომცემ წელს გისურვებთ!

დღეს მნიშვნელოვანია – გონება-გახსნილი, მოქნილი, განვითარებაზე ორიენტირებული, შემოქმედი, რისკიანი, მოტივირებული, კომუნიკაბელური და შესაბამისი უნარ – ჩვევების მქონე სპეციალისტების მომზადება. სნორი არჩევანის გაკეთების უნარი, საუკეთესოთა გამორჩევა და გამორჩეულთა სნორი მოტივირებაა საჭირო.

დღეს –სნორედ დღევანდელ დღეს ნიშნავს და არა ხვალინდელს. ხვალ უფრო რთული და დინამიკური გარემო გელით. დრო აღარ ითმენს – მომავალი ნარმატება ახლა და აქ იქმნება! და როგორი იქნება ის, თქვენზეა დამოკიდებული.

2012 წელი ნარმატებული იქნება და ყოველი ჩვენგანი თავის წვლილს შეიტანს ამ ნარმატებაში.

როსტომ ბერიძე
ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი, სრული პროფესორი

შობა–ახალ წელს ვულოცავ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატს, ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებს და სრულიად საქართველოს. ჩემი ძვირფასო მეგობრებო, 2012 წელი ჩვენი უნივერსიტეტის, ოჯახების და სრულიად საქართველოსათვის ყოფილიყოს სიყვარულის, ბედნიერების, ხვავისა და ბარაქის მომტანი.

დაე, 2012 წელი უფრო ნარმატებული ყოფილიყოს თითოეული ჩვენგანისათვის. უფლის წყალობა არ მოგვლებოდეთ.

იხარეთ ორსავ სოფელსა შინა!

ბადრი გეჩბაია,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
რსუ-ს ასისტენტ პროფესორი

დამდეგ შობა–ახალ წელს ვულოცავ უნივერსიტეტის პროფესორ–მასწავლებლებს, სტუდენტებს და უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელს.

2012 წელი ყოფილიყოს თითოეული ჩვენგანისათვის მშვიდობის, სიკეთის, ბედნიერების, ნარმატების, სურვილების ახდენის, ხვავისა და ბარაქის მომტანი.

ვისურვებდი, რომ ყველას ერთად გვეხოვროს გაერთიანებულ და გაძლიერებულ საქართველოში, გვენახოს ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის ბედნიერი და ღიმილიანი სახე.

გვიყვარდეს ერთმანეთი და გავუფრთხილდეთ ერთმანეთს.

ღვთის წყალობა და მადლი არ მოგვკლებოდეს მრავალჟამიერ!

იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის
სპეციალისტი **ინგა ბოლქვაძე**

ჩვენი ფილოსოფიური ბენეფისისთვის



მე ფილოსოფოსი არა ვარ, მაგრამ ჩემს პედაგოგიკურ და ფილოლოგიურ განათლებას პედაგოგიკასა და ფილოლოგიაში აუცილებლად სჭირდება ფილოსოფიის ცოდნა. ფილოსოფია ის მეცნიერებაა, რომელიც მეცნიერების ყველა დანარჩენი დარგის სპეციალისტისათვის საჭირო და სასარგებლოა იმ მარტივი მიზეზით, რომ მეცნიერების ნებისმიერი დარგი გარკვეულ მსოფლმხედველობრივ სისტემას ემყარება მსოფლმხედველობის პრობლემები კი ფილოსოფიის კვლევის საგანია. ბევრ გამოჩენილ მეცნიერს დიდი და თვალსაჩინო შედეგებისათვის მიუღწევია იმით, რომ მეცნიერულად დამუშავებული, სწორი მსოფლმხედველობით ხელმძღვანელობდა.

სპეციალისტთა და მკითხველთა ფართო წრის ფილოსოფიური განათლების საუკეთესო ფორმა აღმოაჩინა პროფესორმა მიხეილ მახარაძემ „ერთი სტატიის ფილოსოფიის“ სახით და ერთ პრობლემაზე რამდენიმე ცნობილი ფილოსოფოსის თითო წერილის კრებული შეადგინა სათაურით **„კულტურა, ფილოსოფია, ღირებულებები“**. ერთ პრობლემაზე რამდენიმე სტატიის შემოთავაზებით მკითხველს გვეძლევა საშუალება თვალი გავადევნოთ მათ ავტორებს შორის არა მხოლოდ განსხვავებული შეხედულებების (ესეც, რა თქმა უნდა, საჭირო და სასარგებლოა), არამედ მათი საერთო პოზიციის გამოკვეთას ერთი პრობლემის ყოველმხრივ გააზრებისათვის.

ამ კრებულის („კულტურა, ფილოსოფია, ღირებულებები“) შემდგენი, შესავალი წერილის ავტორი და რედაქტორი, პროფესორი მიხეილ მახარაძე წინა პლანზე წამოსწევს ღირებულების თეორიის საკითხებს, რომელიც მარქსისტული ფილოსოფიის მიერ, ფაქტიურად, უარყოფილი იყო. ღირებულების პრობლემას 1964 წელს ქართველმა ფილოსოფოსებმა თბილისში საკავშირო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება ითავეს. ამასთან დაკავშირებით პროფ. მიხეილ მახარაძე წერს: „ფაქტობრივად ეს იყო საბჭოთა იდეოლოგიური ხედვისაგან სრულიად განსხვავებული დამოკიდებულება კულტურისა და ადამიანის კარდინალურ ფილოსოფიურ საკითხებზე“. ცხადია, ქართველ ფილოსოფოსთა მხრივ საბჭოთა იდეოლოგიური ხედვისაგან სრულიად განსხვავებული დამოკიდებულების გამჟღავნებას მშვიდობიანად არ ჩაუვლია, მაგრამ დამტკიცდა უფრო მნიშვნელოვანი რამ–ჭეშმარიტად მეცნიერული კონცეფციები წარმოიქმნება დროის კარნახით და მისი განადგურება ერთი პოლიტიკური პარტიის იდეოლოგიას არ შეუძლია“.

კრებულში „კულტურა, ფილოსოფია, ღირებულებები“ კულტურის ფილოსოფიაზე ოთხი ცნობილი ავტორის (ანგია ბოჭორიშვილი, თამაზ ბუაჩიძე, ოთარ ჯიოევი, ნიკო ჭავჭავაძე) თითო წერილი იბეჭდება.

ამ წერილების კითხვის დროს ჩვენს ყურადღებას, პირველ რიგში, **მეცნიერული აზრის განვითარების მეთოდოლოგია** იქცევს. აკად. ანგია ბოჭორიშვილიც ამ საკითხით იწყებს თავის წერილს „რა არის კულტურა“ და მიუთითებს, რომ მეცნიერული აზრი ვერ განვითარდებოდა, რომ ადამიანს არ ჰქონდეს გაკვირვების უნარი, ხოლო გაკვირვება მხოლოდ იქ შეიძლება წარმოიშვას, სადაც ნაცნობის გვერდით არის უცნობი. ვინც ასეთ ვითარებას ხედავს, ის ცდილობს უცნობიც ნაცნობად აქციოს. აკად. ანგია ბოჭორიშვილის ეს მინიშნება აზროვნების განვითარების მექანიზმზე **წარმატებით გამოიყენება გაკვეთილზე და ლექციაზე. მოსწავლე და სტუდენტი მხოლოდ იმ გაკვეთილ–ლექციით არის მოხიბლული, რომელზეც გაკვირვების (იგივე პრობლემური სიტუაციის) მომენტი წარმოიქმნება.** აქედან გამომდინარე, პედაგოგიური მოღვაწეობის ერთ–ერთი საიდუმლოც აქ იმალება. **თუ ლექტორ–მასწავლებელი ვერ აღძრავს მოსწავლე–სტუდენტის ცნობისმოყვარეობას, გაკვირვებას, მისი მუშაობა წარმატებული ვერ იქნება.**

ახლა დავუბრუნდეთ მთავარ საკითხს – **რა არის კულტურა?** კრებულის მკითხველი იგებს, რომ თავდაპირველად კულტურად იგულისხმებოდა ადამიანის შრომა და ზრუნვა საგნების დამზადებისა და მოვლისათვის. ამიერიდან კი „კულტურა“ ეწოდება არა სუბიექტის მოქმედებას, არამედ იმ ობიექტებს, რომლებიც შეიქმნა ადამიანის შეგნებული, გონივრული მოღვაწეობით, მაგრამ აკად. ანგია ბოჭორიშვილის შეხედულებით კულტურა არის ადამიანის მიერ შექმნილი მოვლენა, რომელსაც **დადებითი ღირებულება აქვს.**

რას აძლევს კულტურა ადამიანს, პიროვნებას? ახლა ეს კითხვა ჩნდება მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ კულტურა ადამიანური ქმნილებაა. აკად. ანგია ბოჭორიშვილის თვალსაზრისით, ადამიანის სულიერი ცხოვრება, როცა იგი უბრუნდება თავის თავს, ობიექტურ ღირებულებასთან ურთიერთობის შემდეგ ამაღლებულია, უფრო ფასეულია, ვიდრე ის იყო მაშინ, როცა სუბიექტიდან გარეთ, ობიექტისკენ მიემართებოდა. კულტურა სუბიექტისა და ობიექტის ისეთი სინთეზია, რომელიც ახალ ღირებულებას ქმნის... ეს პიროვნების ამაღლებით გამოიხატება“.

ამავე პრობლემას, ოღონდ განსხვავებული ასპექტით, აშუქებს თამაზ ბუაჩიძე ნაშრომში **„ადამიანი და კულტურა“**. ავტორი თავის მსჯელობაში ემყარება ადამიანის ისტორიულობის კონცეფციას. თუ ბუნება ზრუნავს ცხოველზე და უკარნახებს როგორ უნდა მოიქცეს (ამისათვის ბუნება ცხოველს აღჭურავს ინსტიქტებით), ადამიანი ინსტინქტებით ღარიბი არსებაა, მის განვითარებაში ბუნების ადგილს იკავებს გონი. გონი არის ის იარაღი, რომლითაც ადამიანი ახერხებს არსებობის გაგრძელებას, მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. გონის წყალობით ადამიანი ცვალებადია, ისტორიულია სწორედ იმიტომ, რომ ის მხოლოდ ბუნების შვილი კი არ არის, არამედ კულტურის შვილიცაა, – დაასკვნის პროფ. თამაზ ბუაჩიძე. კულტურა კი არის ყოველივე იმის ერთობლიობა, რაც ადამიანის გონის მიერაა შექმნილი.

წერილში **„კულტურა და ფილოსოფია“** პროფ. ოთარ ჯიოევის (ჯიოითი) აზრით, კულტურა იმდენად რთული ფენომენია, რომ მასზე ბევრს დღესაც არა აქვს ნათელი წარმოდგენა. მაგალითად, ოთარ ჯიოევი კულტურის არასრულყოფილ განმარტებად მიიჩნევს თეზისს–“კულტურა არის ყოველივე ის, რასაც ადამიანის ხელი ატყვია, რაც ადამიანს სამყაროში შეაქვს“. ავტორის აზრით, ამგვარი გაგების ნაკლი ის არის, რომ მას კულტურა არსებითად საზოგადოებაზე დაჰყავს და ამ ცნებებიდან ერთ–ერთს ზედმეტს ხდის.

ოთარ ჯიოევს არც მეორე მოსაზრება მიაჩნია სრულყოფილად, რომლის მიხედვით „კულტურის ცნებით არა მარტო აღვნიშნავთ საგნებს, არამედ ვაფასებთ კიდეც მათ, რადგან იგი არ იძლევა კულტურის განვითარების შეთვისების შესაძლებლობას.

ოთარ ჯიოევი კრიტიკულად არის განწყობილი კულტურის სხვა ცნობილი განმარტებების მიმართაც. მისი შეხედულებით კულტურად უნდა მივიჩნიოთ არა ყოველივე, რაც ადამიანის სამყაროში შეაქვს, არა ის, რასაც ადამიანის კვალი ატყვია, არამედ **ის, რაც ადამიანს ადამიანური შეაქვს სამყაროში, ის, რასაც ადამიანური მოქმედების კვალი ატყვია.** კულტურის მოვლენები გამოხატავენ ადამიანის დამოკიდებულებას სამყაროსადმი, საზოგადოებისადმი, თვით ადამიანებისადმი.

მრავალმხრივ ინტერესებს აღვიძებს ნიკო ჭავჭავაძის ნაშრომი **„კულტურის ესთეტიკური ხასიათი“** (კრებულში მოცემული დასათაურება „კულტურის ესთეტიკის ხასიათი“ ჩვენ კორექტურა გვგონია–ი.ბ.) მასში განხილულია სამი მთავარი პრობლემა: 1. ესთეტიკური, მხატვრული, ხელოვნება; 2. კულტურისა და ხელოვნების სტრუქტურა; 3. კულტურისა და ხელოვნების ყოფის წესი. ავტორი გვთავაზობს საინტერესო იდეას ხელოვნების დანიშნულების შესახებ–“ხელოვნება არის სწორედ იდეალურის ობიექტივაცია, ჯერ არსის განხორციელება, ე.ი. **არსებულის გარდაქმნა იმად, რაც უნდა იყოს ის“.**

ნიკო ჭავჭავაძე დეტალებში არკვევს კულტურისა და ხელოვნების ურთიერთობებს. **„კულტურასთან** მაშინ გვაქვს საქმე, როცა გრძნობად–აღქმად რეალობაში ესა თუ ის ღირებულებაა განხორციელებული **ხელოვნებასთან** კი მაშინ, როცა გრძნობად–აღქმადი რეალობა გამოავლენს, გახსნის მასში ჩადებულ, განხორციელებულ იდეურ შინაარსს“.

კულტურის გაგებაში უაღრესად მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ნიკო ჭავჭავაძეს იმით, რომ ერთმანეთისაგან განასხვავებს კულტურას, როგორც არსებობის **წესს** და კულტურას, როგორც ადამიანის მოღვაწეობის **საზრისს**. რადგან ადამიანის მოღვაწეობის ყველაზე ღრმა იმანენტური (შინაგანი) საზრისია ადამიანის მიერ თავისი თავის, როგორც თავისუფალ–შემოქმედებითი პიროვნების შექმნა. ესთეტიკური ხასიათი კულტურას ანიჭებს სილაღეს, ორიგინალობას, მთლიანობას.

ნაციონალური მოძრაობის, როგორც სამოქალაქო საზოგადოების შობის პროცესების ფილოსოფიურ გააზრებას გვთავაზობს მერაბ მამარდაშვილის წერილი **„ნიჰილიზმი და ეროვნული საკითხი“** ავტორი საგულისხმო განზოგადებებს აკეთებს კერძო საკუთრების ხელშეუხებლობისა და პოლიტიკური მოღვაწეობის მისგან გამოცალკევების საკითხებზე. „პოლიტიკა, როგორც ხელისუფლება და საკუთრება, უნდა გაემიჯნოს ერთმანეთს“–წერს ფილოსოფოსი.

ფილოსოფოსი ზურაბ კაკაბაძე წერილში **„ბუნების დაცვის ერთი უცნობი ასპექტის შესახებ“** ბუნების დაცვის გლობალურ პრობლემასთან კავშირში განიხილავს კულტურის საკითხებს და წერს იმ კავშირების შესახებ, რაც ბუნების და მის წიაღში საუკუნეთა მანძილზე მცხოვრები ხალხის ხასიათსა და კულტურის თავისებურებათა შორის არსებობს. მისი შეხედულებით ბუნების სხვადასხვაობა კულტურათა სხვადასხვაობას განაპირობებს, ამიტომ ბუნების, ბუნებრივი გარემოს დაცვა შესაბამისი ხალხის ხასიათისა და კულტურის დაცვას განაპირობებს.

კულტურის ფილოსოფიური თეორიები ამით არ ამოიწურება, მაგრამ ის, რასაც კრებულით **„კულტურა, ფილოსოფია, ღირებულებები“** პროფ. მიხეილ მახარაძე გვთავაზობს, მნიშვნელოვნად ამდიდრებს ჩვენს ცოდნას და აფართოებს ჩვენს ფილოსოფიურ განათლებას.

იური ბიბილეიშვილი

სრულიად საქართველოს, მის მრავალჯერგამოვლილ ქართველ ხალხს, ჩემს მშობლიურ უნივერსიტეტს ვულოცავ 2012 წლის მობრძანებას. ეს წელი გადამწყვეტი წელი იქნება ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში. ორი გზის შესაყარზე მყოფი საქართველო, მთავარი არჩევანის წინაშე დგას. დღეს ეურება საფუძველი მის ხვალინდელ დღეს, როგორ შევხვდებით მას და რას გავაკეთებთ მისი გადარჩენისა და აღორძინებისათვის. ყველაფერი მაინც ჩვენს გარჯა–შემართებასა და სურვილ–შესაძლებლობებზეა დამოკიდებული. ჩვენს წინაპრებს რომ არ ებრძოლათ, საქართველო ვერ გადარჩებოდა. დიდი ილია მოგვინოდებდა, რომ ჩვენი თავი ჩვენადვე გვეუფლნესო.

ჩემს საამშობლოს ვუსურვებ გაძლიერება–გაერთიანებას, რადგან ძლიერებს უნევენ ანგარიშს და არა სუსტებს. დაგვბედებოდეს ქვეყნის აღმავლობა, ქვეყნად მშვიდობა დაგვბედებოდეს, ჯანის სიმრთელე, შვილთა სიმრავლე, დავითის ძალა, თამარის სიბრძნე დაგვბედებოდეს.

მერაბ მეგრელიშვილი

სრულიად საქართველოს და ქართველ ერს გილოცავთ ახალ – 2012 წელს. ეს წელი ყოფილიყოს ბედნიერების, თავისუფლების, ეკონომიკური ნინსვლის, აყვავების და გამთლიანების წელიწადი.

სტუდენტ–ახალგაზრდობას ვულოცავ შობა–ახალ წელს, ვუსურვებ ნარმატებებს პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ ასპარეზზე. დაგებედოთ სიკეთის, სიყვარულის, ერთიანობის, ურთიერთგაგებანის უღალატო თანადგომის ქრისტესმიერი მადლი.

პროფესორ–მასწავლებლებს ვუსურვებ მათი აღზრდილი სტუდენტები გამოსულიყვნენ სასახელო მოღვაწეები.

იხარეთ და იბედნიერეთ საამშობლოს საკეთილდღეოდ, ღირსეული მომავლის შესაქმნელად...

ქეთი შარაშიძე

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი

ახალ წელს ვულოცავ ჩვენს საამშობლოს, მშობლიურ უნივერსიტეტს, კოლეგებს, სტუდენტებს და გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტის“ მკითხველებს.

ჩვენს უნივერსიტეტს ნარმატებებს ვუსურვებ, სტუდენტობას ნიგნიერების დონის ამაღლებას. მეცნიერების დაუფლება უნიგნოდ არც ერთ ეპოქაში არ ხდებოდა. ეს არ მოხდება არც კომპიუტერის ეპოქაში. ვნატრობ იმ დროს, როცა ლექციების შემდეგ სტუდენტობა თავისი დროის უმეტეს ნანილს ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში გაატარებს და ამავე დროს, კვალიფიციურად დაეუფლება ინტერნეტის უსაზღვრო შესაძლებლობებს.

ღმერთმა ყველას აგვიხდინოს ჩვენი იმედები!

იური ბიბილეიშვილი

პროფესორი

კავკასიოლოგთა მეორე საერთაშორისო კონგრესის მასალები

გაგრძელება, დასაწყისი იხ. გაზ. „ბათუმის უნივერსიტეტის“ №6

გ. გრიგოლია სტატიაში „ეგრის-ლაზიკის სამეფოსა და რომის იმპერიის საზღვრები II-Vსაუკუნეებში“ განიხილავს ეგრის-ლაზიკის სახელმწიფოს აღმოცენებას ლეგენდარული კოლხეთის სამეფოს ნანგრევებზე. II-III საუკუნეებში იგი მცირე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი იყო, რომლის სამხრეთი საზღვრები მდინარეების სუფსა-ნატანების ხეობებს ემთხვევა. IV-V საუკუნეებში სამეფომ მთელი დასავლეთი საქართველო გააერთიანა. მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში, მან რომის (ბიზანტიის) იმპერიას უკან დაახევინა და სახელმწიფოს პოლიტიკური საზღვარი მ. ხოფას სექტორში გადაიტანა, იქ, სადაც რომი აშენებდა ციხე-ქალაქ პეტრას. ზ. კვიციანი სტატიაში-“უძველესი ოქროს ფული კავკასიაში, კოლხური სტატერები“ განიხილავს ოქროს გავრცელების არეალს კავკასიაში. მსოფლიოში ოქროს მოპოვება ყოველწლიურად იზრდება. ვაშინგტონის ე.წ. ოქროს ინსტიტუტი ტრადიციულად წლის დასაწყისში აქვეყნებს სტატისტიკურ ანგარიშს. ამის შედგენაში მსოფლიოს სამასამდე კომპანია და სპეციალიზებული ფირმა მონაწილეობს. სვანეთის ოქროს იკვლევდნენ გეოლოგები: შოსტაკი, გილევი, კასტენგი, ერნსტი, ბანისლავსკი, ვინგენშტეინი, თავადი შერვაშიძეები. ენგურის ხეობაში დღესაც მოიპოვებენ ოქროს სოფელ აცში (წვირმის თემში ნაპოვნია ოქროს თვითნაბადი ზოდები). სხვადასხვა ტრადიციული ხერხით ასევე მოიპოვებდნენ სოფლებში: ივლში, პარაში, ლატალში, ლენქერის და ცხუმარის ტერიტორიაზე. 400 ცალი ალექსანდრე მაკედონელის სტატერიდან 390 სვანეთშია აღმოჩენილი. სვანეთში ასევე აღმოჩნდა ზარაფხანის ნაშთები. ავტორი ასაბუთებს, რომ ალექსანდრეს და ლისიმაქეს ე.წ. კავკასიური მინაბაძები ქართლის ადგილობრივი ნედლეულისგან მზადდებოდა, რადგან ადგილობრივი მოსახლეობა ამ ოქროს საფასეებს შეჩვეული იყო და მას ნდობით ეკიდებოდა. ე.წ. „ბარბაროსული მონეტები“ უნდა მოეჭრათ სავაჭრო ურთიერთობაში ჩართულ ტომის ბელადებს ან ინიციატივიან კერძო პირებს.

მარიკა ლორთქიფანიძე სტატიაში „მეფე გიორგი მეორის, ვეჯინისა და კარისციხეთათვის“ ბრძოლის ისტორიიდან ასაბუთებს, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გიორგი მეორის მიმართ ტენდენციურია, რაც აშკარად ვლინდება მის დამოკიდებულებაში მეფე გიორგის მიერ ვეჯინის ციხისათვის სამთვიანი ბრძოლის შემდეგ ალყის მოხსნასა და დასავლეთ საქართველოში გადასვლასთან დაკავშირებით. ასევე არასათანადოდ აფასებს ის მეფე გიორგის დამსახურებას კარისციხისა და მისი მიმდებარე მხარის სელჩუკთაგან გათავისუფლების საქმეში.

ქ. და გ. ლორთქიფანიძეები სტატიაში „ჰუნები პიტიუნტში (IV საუკუნე)“ აღნიშნავენ, რომ ჰუნები — თურქული მოდგმის მომთაბარე ტომები ახ. წ. IV საუკუნის სამოციან წლებში მოულოდნელად გამოჩნდნენ სამხრეთ რუსეთისა და კავკასიისპირეთის ველებში. მათ გაანადგურეს ალანთა გაერთიანება, ოსტგოთების სამეფო დონისპირეთში, ბოლო მოუღეს ირანულენოვანი ტომების ათასწლოვან ჰეგემონიას ევრაზიაში. 371-372 წლებში მათ აიღეს პიტიუნტი, (ბიჭვინთა). მეცნიერთა მიერ შესწავლილია პიტიუნტის სამაროვანი. კერძოდ, მეოთხე საუკუნით დათარიღებული სამხედრო პირების ათი ორმოს სამარხი. უცნობია პიტიუნტიდან ჰუნებმა შეუტიეს თუ არა ეგრისის სამეფოს.

ნ. მინდაძე სტატიაში „დაავადებათა პრევენციის ტრადიციული საშუალებები საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიაში“ შედარების მეთოდების საფუძველზე პოულობს მსგავსებას და განსხვავებას დაავადებათა პრევენციის ტრადიციულ საშუალებებს, კერძოდ, ავგაროზისა და ნუსხას შორის. ავგაროზის ტექსტი ქრისტიანულ ლოცვას, ნუსხის ტექსტი კი ყურანის სურაის წარმოადგენს.

ლ. მირიანაშვილი სტატიაში „ქართულ-სომხური კონფესიური ლიბერალიზმი შუა საუკუნეებში“ გვესაუბრება დავით გარეჯის სომხური ნაკაწრი წარწერების შესახებ, რომელიც პირველად ლეონ მელიქსეთ-ბეგმა გამოაქვეყნა, ეს იყო ბაგრატუნიანთა სომხეთის სამეფოს დაცემისა და 1319 წლის მიწისძვრის შემდეგ სომხეთიდან საქართველოში გადმოსახლებული სომეხი მოქალაქეების მიერ შესრულებული ზოგიერთი წარწერა, რომელიც ეკუთვნის თბილისის სომხურ ეკლესიაში მოღვაწე მონოფიზიტ იოვანე ხუცესს. ეს ფაქტი მიანიშნებს იმაზე, რომ მე-15 საუკუნიდან სომეხ მონოფიზიტებს აღარ ეკრძალებოდათ ქართველებთან ერთად ლოცვა, რომელიც 608-609 წელს სომეხთა კათალიკოსმა აბრაამმა დააკანონა. ქართველ მართმადიდებლებს სომხურ ტაძრებში შესვლის, სომხებთან ქორწინების, მეგობრობის, დედამძუძეობის და ერთად პურის ჭამის უფლება მიეცათ. ერკანის მარზპანი სმაბტ ბაგრატუმი მრავალწლიანი უშვილობით დაღონებულ მშობლებს მხოლოდ მას შემდეგ შესძენიათ, როცა მცხეთის ჯვარს შეევედრებიან და მისთვის მსხვერპლი შეუწირავთ. კონფესიურმა განსხვავებამ ხელი არ შეუშალა მეფე თამარს ამირ-სპასალარობა ზაქარია მხარგრძელისთვის ებოძა.

მ. მშვილდაძე სტატიაში „ქრისტიანობის გავრცელება დასავლეთ საქართველოში (აჭარა) არქეოლოგიურ მონაცემთა მიხედვით“ ქრისტიანობის გავრცელებას უკავშირებს ანდრია პირველწოდებულს, სვიმონ კანანელს, მატათას და რომის ლეგიონერს. საქართველოს შავიზღვისპირეთის ქალაქები, პიტიუნტი (ახ. წ-აღ. მე-2 საუკუნე), სებასტოპოლისი, ფაზისი და აფსარუნტი I-IV საუკუნეში რომისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის თავდაცვით სისტემაში შედიოდნენ, რომელიც რომაელთა ბატონობის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლურ ფორპოსტს წარმოადგენდა და პროვინცია კაპადოკიის ნაწილი იყო. აფსაროსს უკავშირდება III-IV საუკუნის წყაროები: დოროთეოს ტვირელი, ეპიფანე კვიპრელი, სოფრონი, ეპიფანე კონსტანტინოპოლელი („პასკალური ქრონიკა“ ქრისტეს მოციქულთა მისიონერული საქმიანობების შესახებ). გონიოში აღმოჩენილია გემა — სამფოთლოვანი მცენარის გამოსახულებით, რომელიც II-III საუკუნით თარიღდება, ავტორი მას მიაკუთვნებს ადრექრისტიანულ სიმბოლიკას და თვლის წმინდა სამების მიმანიშნებლად. აღსანიშნავია ციხისძირში აღმოჩენილი ერთმანეთის პარალელურად მცურავი ორი თევზი, რომელიც გამოსახულია მინის თვალზე. ციხისძირის მოსახლეობაში ახ. წ-აღ. I საუკუნიდან ჩანს გავრცელებული ქრისტიანობა, რაზეც მიუთითებს ეკლესიის ნაშთები. აქვე გამოვლინდა მოზაიკის ფრაგმენტი ორნამენტით, რომელიც ჰგავს შუხუთის (ლანჩხუთი, IV საუკუნე) მოზაიკას. მასზე ბერძნულ ენაზე ამოკაწრულია ლოცვა „უფალო შეგვიწყალე“. ქრისტიანული დაკრძალვის წესებს ვხვდებით ფიჭვნარში. ნაპურვალის ანტიკური ხანის სამაროვნის გათხრებისას აქ დაფიქსირდა რამდენი ადრექრისტიანული სამარხი, რომელთგან ზოგიერთი წებელდის, ხოლო ზოგი ადგილობრივ არქეოლოგიურ კულტურასთან პოულობს პარალელს. აქვე აღმოჩნდა მარმარილოს მინიატურული ჯვარი.

ლ. ოსეფაშვილი სტატიაში „ჯვარი ვაზისა“ ისტორიიდან ქართული და სომხური ისტორიული წყაროების მიხედვით“ გვესაუბრება ჯვარი ვაზისას ვერსიებზე. პირველი ვერსიის მიხედვით, ჯვარი ვაზისა ღვთისმშობელმა გადასცა წმინდა ნინოს „ძილსა შინა“, სხვა ვერსიით ჯვარი თვითონ წმინდა ნინომ თავისი თმებით ვაზის რტოთაგან შეკრა. მიცვალების წინ წმინდა ნინომ ჯვარი გადასცა მეფე მირიანს, რომელმაც თავისი მემკვიდრე ბაქარი სწორედ ამ ჯვრით აკურთხა მეფედ. სხვა ვერსიით, ჯვარი განთავსებული იყო სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში და მცხეთის მთაზე. ჯვარი მცხეთაში 544 წლამდე ყოფილა დაბრძანებული, ამის შემდეგ თუ სად იმყოფებოდა იგი 1800 წლამდე, ქართული წყაროებით უცნობია. სამაგიეროდ, სომხური წყაროების მიხედვით, ქართველთა ეროვნული სალოცავი 8 საუკუნის განმავლობაში მეზობელ ქვეყანაში იმყოფებოდა. ეს ჯვარი ერთხანს შუშანიკ დედოფალს ჰქონია, სიკვდილის წინ მას ეს სიწმინდე გადაუცია ცურტავის მოძღვარ ანდრიასთვის, რომელსაც ცეცხლთაყვანისმცემელთა შიშით იგი მცხეთაში ვერ დაუბრუნებია და სომხეთში გადაუბრძანებია. ერთი ვერსიით, სომხეთში იგი ინახებოდა მე-13 საუკუნის 40-იან წლებამდე, რომელიც გამოუთხოვია მეფე რუსუდანს მონღოლებისაგან, ხოლო მეორის მიხედვით კი იგი ქალაქ ანისიდან დავით აღმაშენებელს ქალაქის გათავისუფლების შემდეგ ჩაუბარებია და სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში დაუსვენებია. ძნელბედობის ჟამს ჯვარი ინახებოდა გერგეთის სამებაში, ანანურის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში. შემდეგ რუსეთში წაუღიათ და ქართველთა თავგანწირული ძალისხმევით ის ისევ საქართველოში დაუბრძანებიათ სიონის საკათედრო ტაძარში.



ქ. ქუთათელაძე სტატიაში „ქართველთა გასომხების საკითხისათვის XIX-XX საუკუნის მიჯნის ქართული პერიოდიკის მიხედვით“ განიხილავს ზაქარია ჭიჭინაძის ნაშრომს „ქართველი გრიგორიანები და ნ. თამარაშვილის „პასუხად სომხის მწერლებს“, რომელნიც უარყოფენ ქართველთ კათოლიკობას, რომელნიც ამტკიცებენ, რომ თითქოს კავკასიაში კათოლიკეები მხოლოდ სომხები იყვნენ, რომ ქართველი კათოლიკეებიც ეთნიკურად სომხური წარმოშობის არიან და ქართველთაგან მხოლოდ ენა აქვთ შეთვისებული. ზაქარია ჭიჭინაძე ნაშრომში „სომხეთი საქართველოში“ ჩამოთვლის გასომხებულ ქართულ გვარებს და ასახელებს გასომხების მიზეზებს: 1. თბილისის გარშემო და კახეთში სომეხთა მიერ მიწების შესყიდვა და იქ გადმოხვეწილების დასახლება; 2. სომეხი მღვდლების მიერ ეჩმიაძინის დახმარებით ქართული სოფლების ყიდვა თავის გლეხებიანად და შემდეგ მათი გასომხება; 3. უგვანო მებატონისგან გაქცეულნი ხშირად სჯულს იცვლიდნენ და გრიგორიანულ მრწამსს იღებდნენ; 4. ზოგიერთი მებატონის მიერ თავის ყმის ქალთან უკანონი გზით შეძენილ შვილს სომხურად ნათლავდნენ; 5. ჟამთა სიავის შედეგად მუსულმანობის მიუღებლობის გამო ქართველთა ნაწილი იძულებული იყო გრიგორიანულ მრწამსზე გადასულიყო; 6. ქართველი კათოლიკეების ეთნიკურად სომეხ კათოლიკეებად დაწერა.

მ. მეგრელიშვილი

ვულოცავ შობა-ახალ წელს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს და სრულიად საქართველოს. წარმატების, სიკეთის, სიყვარულის და ბედნიერების მომატანი ყოფილიყოს 2012 წელი თითოეული ჩვენგანისთვის.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ.

განათლების და მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი

რუსუდან ბერიძე

გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტის“ საშუალებით დამდეგი ახალი წელი მინდა მივულოცო შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებსა და სრულიად საქართველოს.

2012 წელი, პირველყოვლისა სრულიად საქართველოს გაერთიანების, გამთლიანებისა და დასახული მიზნების ასრულების წელი ყოფილიყოს. ყველას ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ულევ სიხარულსა და სიყვარულს.

ღვთის წყალობა და მადლი არ მოჰკლებოდეს სრულიად საქართველოს.

იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი

ირაკლი აბაშიძე

საახალწლო კონცერტი მეთორმეტე კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა ბათუმის საჯარო და კერძო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისა და აბიტურიენტებისათვის საახალწლო კონცერტი გამართეს. უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულებმა ახალგაზრდებს რსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამები, საუნივერსიტეტო ცხოვრება გააცნეს და საინფორმაციო ბუკლეტები დაურიგეს. კონცერტი სტუდენტთა მომსახურებისა და მხარდაჭერის სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა და მასში უნივერსიტეტის სტუდენტთა შემოქმედებითი, ქორეოგრაფიული და ვოკალური ანსამბლები მონაწილეობდა.

ბათუმის 2012 წლის ბიუჯეტის პროექტის წარდგინება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ – ლევან ვარშალომიძემ, ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი კირთაძემ, ქალაქ ბათუმის მერმა– რობერტ ჩხაიძემ და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა გია აბულაძემ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს ბათუმის 2012 წლის ბიუჯეტის პროექტი გააცნეს. ასევე განიხილეს მომავალი წლის ბიუჯეტის სტრატეგიები, მიმართულებები და პროექტით გათვალისწინებული სხვადასხვა სახის პროგრამა. ქალაქის მთავარი ფინანსური დოკუმენტის პროექტის წარდგენის შემდეგ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ხელმძღვანელებმა სტუდენტების შეკითხვებს უპასუხეს, რომლებიც გაცვლით პროგრამებს, სტაჟირებას, საგანმანათლებლო, შემეცნებითი და კულტურული პროექტების განხორციელებას უკავშირდებოდა.

სტუდენტების საახალწლო აქცია საჯარო სკოლებში

საჯარო და კერძო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცეს და საახალწლო კონცერტზე მიიწვიეს. კონცერტი სააქტო დარბაზში 16 დეკემბერს, 14.00 საათზე უნივერსიტეტის კულტურის ცენტრთან არსებული, სტუდენტთა ქორეოგრაფიული და ვოკალური ანსამბლების მონაწილეობით გაიმართება. საახალწლო აქციის ფარგლებში ახალგაზრდებმა დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესია და მისი მიმდებარე ტერიტორია დაასუფთავეს, ასევე მონაწილეობა მიიღეს სოფელ ახალსოფელში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მშენებლობაში.

დამდეგ ახალ წელს ვულოცავთ ჩვენს ამაგდარ უნივერსიტეტს, პროფესორ–მასწავლებლებს, სტუდენტებს, სრულიად საქართველოს!2012 წელს ახალი შემოქმედებითი იდეები, პროფესიულ საქმიანობაში წარმატებები, ძლიერება, სიჯანსაღე, სილამაზე, ნათელი ოჯნებები, გაბედულება და მიზანსწრაფვის სურვილი არ მოგკლებოდეთ!

ასოცირებული პროფესორი **ირაკლი მანველიძე**

ვულოცავ დამდეგ შობა–ახალ წელს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, სტუდენტებს, აკადემიურ პერსონალს, მასწავლებლებს, დამხმარე პერსონალს! ვუსურვებ მათ ჯანმრთელობას და სურვილების ასრულებას! ჩვენი უნივერსიტეტი დიდი გამოწვევების წინაშე დგას, დიდია თანამედროვე მოთხოვნები ზოგადად უნივერსიტეტების მიმართ და ამ მოთხოვნების შესასრულებლად უდიდესი ძალისხმევაა საჭირო, რომელიც ჩვენს უნივერსიტეტს, უდავოდ გააჩნია. დამდეგ 2012 წელს ვისურვებდი, რომ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაიმკვიდროს წარმატებული ადგილი არა მარტო საქართველოს, არამედ უცხოეთის საუკეთესო სასწავლებლებს შორის.

ბედნიერ ახალ წელსა და შობას, ულევ სიხარულს, ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას, წინსვლასა და წარმატებებს გისურვებთ!

პატივისცემით, რსუ-ს საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი **გიზო ფარცხალაძე**

„ქართული სამართლის ისტორია“ სალექციო კურსი

მკითხველმა მიიღო ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ოთარ გოგოლიშვილის ნაშრომი „საქართველოს სამართლის ისტორია“ სალექციო კურსი. „ყველა ფუნდამენტური ჰუმანიტარული მეცნიერება – ისტორია, ფილოლოგია, კულტუროლოგია და სხვა პროგრესის საფუძველია... მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული სამართლის ისტორიას. ამ მეცნიერებამ ასწლეულის განმავლობაში უდიდესი გავლენა იქონია ქართული სამართლებრივი კულტურის განვითარებაზე.» ავტორის ეს სიტყვები წარმოადგენს ამ წიგნის ლაიტმოტივს. სტუდენტმა უნდა შეიყვაროს სამართლის ისტორია, გაერკვეს ამ საოცარი მეცნიერების კანონზომიერებაში და მომავალში, სამართლის ისტორიის მიმართულებას თუ არ აირჩევს, სამართლის ისტორიის როლი ყოველთვის უნდა ახსოვდეს. სწორედ ასეთი სახელმძღვანელოების მკვეთრი აუცილებლობაა საქართველოში დღესდღეობით. წიგნი მაღალმეცნიერულ და მეთოდურ დონეზეა დაწერილი. იგი შედგება 15 თავისგან. ცალკეა გამოყოფილი სასემინარო თემები, ბოლოს მოცემულია ტესტები, რომელიც მართლაც რომ მაღალ დონეზეა შედგენილი. ნაშრომში საინტერესოდაა შესწავლილი ქართული საეკლესიო, საერო ხასიათის წყაროები. საყურადღებოა ასევე სისხლის, სამოქალაქო, საოჯახო, სამემკვიდრეო სამართლის ისტორია, სასამართლო პროცესი გაერთიანებულ და გვიანფეოდალურ საქართველოში. თითოეული სალექციო კურსის ბოლოს მოცემულია ლიტერატურა. ნაშრომი შედგენილია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. საინტერესოა სილაბუსი, სადაც დაწვრილებითაა გადმოცემული ყველაფერი ის, რაც სტუდენტმა უნდა შეისწავლოს. ნაშრომს აშკარად ეტყობა ძლიერი ისტორიკოსის ხელწერა – ათწლეულების განმავლობაში ბატონი ოთარ გოგოლიშვილი კითხულობდა სალექციო კურსს ქართული სამართლის ისტორიაში და ამ მიმართულებით მან დაწერა არაერთი საინტერესო წიგნი და სამეცნიერო სტატია. სახელმძღვანელო თავისი ორიგინალობით განსხვავდება სხვა გამოცემებისგან, როგორც შესასწავლი მასალის მეცნიერული ანალიზით, ისე ეროვნული და ისტორიული წიაღსვლების გადმოცემის თვალსაზრისით, რაც ძალზედ მიმზიდველს ხდის საგნის შესწავლას. მიმაჩნია, რომ ამ სახელმძღვანელოს დანერგვა სასწავლო პროცესში ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებს ძალზე ქმედით დახმარებას გაუწევს; ყველაფერთან ერთად, ჩამოუყალიბებს მათ შემოქმედებით აზროვნებას.

გურამ ჩხაიძე,
ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნული მუზეუმის ისტორიის განყოფილების გამგე, პროფესორი

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სტრატეგიული გეგმის განხილვა

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სტრატეგიული გეგმა რსუ-ს სტუდენტებს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა გია აბულაძემ და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ნოდარ ფუტკარაძემ გააცნეს. უწყების პირველმა პირებმა ახალგაზრდებთან გამართულ შეხვედრაზე პროექტები წარმოადგინეს და დეპარტამენტის ერთწლიანი მუშაობის შედეგები შეაჯამეს. სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ ისეთ პროექტებში, როგორიცაა: ინტელექტუალური თამაშები, ახალგაზრდული შემეცნებითი პროგრამები, ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის საგრანტო პროგრამა, მხიარულთა და საზრიანთა კლუბების მუსიკალური ფესტივალი, „სტუდენტური დღეები 2012“, საერთაშორისო ახალგაზრდული ფორუმი, „ჩვენი რეგიონისათვის“ –სტუდენტთა საზაფხულო ბანაკის მოწყობა.

ღია კარის დღე

ბათუმის, ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის, ქობულეთის, ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის კერძო და საჯარო სკოლების მეთორმეტე კლასის მოსწავლეებისათვის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკანებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა ღია კარის დღე ჩაატარეს. აბიტურიენტებს უნივერსიტეტის ისტორია, პრიორიტეტები, სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამები, უნივერსიტეტში სწავლების პირობები, სტიპენდიები, სოციალური პროგრამები და არსებული სიახლეები წარუდგინეს. მომავალ სტუდენტებს უმაღლესი სასწავლებლის შესახებ სრული ინფორმაციის მისაღებად საინფორმაციო ბუკლეტები დაურიგდათ.

2012 – დრაკონის წელიწადი

რისი წელია 2012? ეს არის დრაკონის, ანუ არარეალური ცხოველის წელი, ეს ილუზიაა, საკარნავალო ფიგურის მსგავსად, მაგრამ ამის მიუხედავად, დრაკონი სულ იარსებებს, იგი დაიწვება და აღდგება ფერფლისგან ყოველ ახალ წელიწადს. 1928, 1940, 1952, 1964, 1976, 1988, 2000, 2012, 2024, 2036 ეს დრაკონის წლებია, მომავალი ანუ 2012 წელი ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულთა აღზევების წელია.

დრაკონში არის მოჭარბებული ჯანმრთელობა, სასიცოცხლო ძალა, აქტივობა, წმინდა, როგორც ოქრო. მას არ შეუძლია იყოს ფლიდი, მეწვრილმანე, ენამწარე და ელემენტარული დიპლომატიც კი, თუმცაღა არც ისე გულუბრყვილოა, როგორც კეთილი ღორი – იგი მიმნდობია, მას ყოველთვის მოატყუებენ. იგი მგრძნობიარეა. დრაკონი ხშირად წუხდება უსაფუძვლოდ. ლტოლვა სრულყოფისაკენ მას ხდის მომთხოვნს, როგორც საკუთარი თავისადმი, ისე სხვებისადმი. იგი ზედმიწევნით ორგანიზებულია, ბევრს მოითხოვს, მაგრამ აკეთებს უფრო მეტს; ჯიუტი და გულფიცხია, არ უჩერდება ენა და ხშირად სიტყვა აზრს წინ უსწრებს. ამასთანავე, მისი აზრი ანგარიშგასაწევია, იძლევა კარგ რჩევებს, დაუოკებელი ენთუზიასტია, ადვილად ერთობა, ამაყია, დრაკონი ყველაფრის შემძლეა; ინტელიგენტი, ძლიერი და ამტანი, დიდსულოვანი. მას ყურს უგდებენ, გავლენა აქვს სხვებზე. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე არ ექნება არავითარი გასაჭირი. შეუძლია მიაღწიოს წარმატებებს ნებისმიერ საქმეში – აირჩევს მსახიობის კარიერას, მღვდლის, მეომრის, ექიმისა თუ პოლიტიკოსის – ყველგან იბრწყინებს. თუ დიდ საქმეს შეეჭიდება, მიზანს კიდეც მიაღწევს. საუბედუროდ, ასეთივე წარმატებით შეუძლია დაადგეს ცუდ საქმეს და აქაც გაიმარჯვებს.

რაც შეეხება სიყვარულს, უფრო ხშირად იგი უყვართ, მას კი იშვიათად. მას არასოდეს ექნება იმედის გაცრუება ან დარდი სიყვარულში. ამასთანავე დრაკონი შეიძლება გახდეს სასოწარკვეთილების, დრამის მიზეზი. ამ ნიშნით დაბადებული ქალები დიდ წარმატებებს მოიპოვებენ და მათ ხშირად შესთავაზებენ გულს და ხელს. დრაკონი იშვიათად ქორწინდება ახალგაზრდობაში, ზოგიერთი ბერბიჭადაც კი რჩება; მოსწონს უცოლო ცხოვრება, ეს მის ხასიათს კარგად ერგება. უფრო ბედნიერიც კი შეიძლება იყოს. მას შეუძლია თავისი ცხოვრება დაუკავშიროს ვირთხას, რადგან მოყვარული ვირთხა ყველაფერს აიტანს, თვით უყურადღებობასაც კი. რა თქმა უნდა, ვირთხა ისარგებლებს ყველაფრით, რასაც მოუტანს დრაკონი. თავის მხრივ, იგი დაეხმარება მას თავისი კრიტიკული ნიჭით და ფულისადმი სიყვარულით. იგივე შეიძლება ვთქვათ გველზეც. მკვეხარა მამალი ასევე იპოვის საერთო ენას დრაკონთან; იგი მისი წარმატებების ნამცეცებს სიამოვნებით აკენკავს, როგორც სიყვარულში, ასევე სხვა საქმეებში. მაიმუნიც კარგად შეავსებს მას ეშმაკობით, დრაკონი კი თავის სიძლიერით. მათ ესაჭიროებათ ერთმანეთი, მაგრამ ამას მხოლოდ მაიმუნი შეძლებს, დრაკონი უნდა იყოს ფრთხილად; სხვა ნიშნებიდან მხოლოდ მაიმუნს შეუძლია დასცინოს მას. მისი იუმორი შეარბილებს დრაკონის სიამაყეს. გარდა ამისა კაცი – დრაკონი მოჯადოებული იქნება ქალი გველის სილამაზით, რომლითაც იამაყებს. დრაკონი და ვეფხვი ერთმანეთს ვერ დაამშვიდებენ, განსაკუთრებით საჭიროა, რომ დრაკონი მოერიდოს მოუსვენარ ძაღლს, რომელიც არ დაუჯერებს მას. დრაკონს სიძნელეები ექნება სიცოცხლის პირველ ფაზაში, იმიტომ რომ იგი ბევრს მოითხოვს თავისი ახლობლებისაგან. მისი არტისტული ტემპერამენტი გახდება მრავალი პრობლემის მიზეზი ცხოვრების მეორე ფაზაში. თავის წრეში, სადაც მას ექნება უპირატესობა, გაჩნდება გაუგებრობის შეგრძნებაც. სინამდვილეში დრაკონით იქნებიან აღფრთოვანებული, მას დაუჯერებენ და რამდენადაც მცირე იქნება მისი როლი, იმდენად დიდი ექნება წარმატება. ბედნიერი იქნება ცხოვრების ბოლო ფაზაში, ექნება ყველაფერი, რასაც მოისურვებს. დრაკონი წარმატების, ზეციური სიძლიერისა და ყველაზე კეთილმყოფელი ასტრონომიული ზეგავლენის ნიშანია. იგი განასახიერებს სიცოცხლეს და ზრდას. დრაკონი მოიტანს ოთხ რამეს: სიმდიდრეს, სათნოებას, ჰარმონიასა და დღეგრძელობას, მაგრამ ნებისმიერ მედალს აქვს მეორე მხარეც და თუ იქნება მსუბუქი ბედისწერის შთაბეჭდილება, არ დაგავიწყდეთ, რომ ეს ილუზიაა. ყოველდღიურად დრაკონი ბრწყინავს, მაგრამ მისი ბრწყინვალება არ არის მკვეთრი, მას არ ძალუძს დააბრმავოს, და მისი პიროვნული სიძლიერე მოჩვენებითია. ის არ არსებობს რეალურად, შექმნილია საკარნავალო ფიგურის მსგავსად, უზრუნველი და ძლიერია; უფრთხის ცეცხლს, ოქროსა და წყალს, მაგრამ მას დაწვავენ დღესასწაულის შემდეგ და როგორც სფინქსი, იგი აღდგება ნაცრისაგან შემდეგი დღესასწაულისათვის. დრაკონი ქიმერული ცხოველია.

ეროვნულ პარკში...

ტურიზმის სფეროს გერმანელი, ამერიკელი და ქართველი სპეციალისტები საზეიმო განწყობითა და საერთო იდეით მტირალას ეროვნულ პარკში შეიკრიბნენ. ქართველი და უცხოელი მეგობრები, ფაკულტეტის მოწვეულმა პროფესორმა კურტ ჰაინც რაიცმა გააერთიანა. ყველაფერი დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრში, ევროპულად — ცხელი საშობაო ღვინისა და ამერიკული სადღესასწაულო ღვეზელის მომზადებით დაიწყო და სოფელ ჩაქვისთავში ზია კონცელიძის სასტუმრო სახლში ტრადიციული ქართული სუფრით დასრულდა. სასტუმრო სახლი შემთხვევით არ შერჩეულა. ეს სწორედ ის ადგილია, სადაც მტირალაზე მისული ვიზიტორების უმრავლესობა (მათ შორის კურტ რაიცის მეგობრები), ერთხელ მაინც არიან ნამყოფნი. წარმოუდგენელია შობა სიურპრიზების გარეშე. შესაბამისად საჩუქრებით სავსე ხურჯინით მტირალას მთიდან „სანტაკლაუსიც“ გამოჩნდა. თეთრ-წითელ სამოსში გამოწყობილი თოვლის პაპის გამოჩენა სტუმრებისთვის სიურპრიზი აღმოჩნდა.

კურტ ჰეინ რეიცი – ტურიზმის CIM ექსპერტი (გერმანია):

„როგორც წესი, ევროპაში საშობაო დღესასწაულის აღნიშვნა მთელი ოთხი კვირით ადრე იწყება და საკმაოდ სასიამოვნო და კარგ რიტუალს წარმოადგენს. საქართველოში შობის აღსაღნიშნად მზადება ჯერ კიდევ ნოემბერში ჩემი გერმანიაში ვიზიტის დროს დავიწყე, შევიძინე ყველა საჭირო საშობაო ატრიბუტი და საჩუქარი, რაც სანტასთვის და სანტას თანმხლები „ირმებისათვის“ იყო საჭირო. კარგად ვიცოდი, რომ ამ ზეიმზე მხოლოდ ტურიზმის ფაკულტეტისა და „სანტას“, (როგორც მეძახიან ხოლმე „ბატონო კურტის“) მეგობრები იქნებოდნენ მეც არ დავაყოვნე და ზოგიერთ მეგობარს საჩუქრების სანაცვლოდ პუნქტუალობა, ინგლისური ენის უკეთ სწავლა და შრომისმოყვარეობა მოვთხოვე.

საერთო ჯამში შეხვედრა მეგობრული და სიურპრიზებით აღსავსე გამოვიდა, რითაც კმაყოფილი ვარ მე, როგორც „სანტა“. გაზეთის მკითხველს კი ვურჩევ, რომ 31 დეკემბერს აჭარის ტელევიზიის საახალწლო გადაცემებს კარგად მიადევნოს თვალყური და იქ უფრო დეტალურ ინფორმაციას მიიღებს ჩვენი საშობაო ზეიმის შესახებ“.

როსტომ ბერიძე – ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი:

,,ინიციატივა ბატონ კურტს ეკუთვნოდა, მანვე გაუკეთა ორგანიზება ღონისძიებას და სტუმრების მოწვევაც თავადვე ითავა. მთლიანობაში მტირალაზე ტურიზმის ფაკულტეტის გუნდის წევრები და ფაკულტეტის მეგობრები შევიკრიბეთ.

ვფიქრობ, რომ ამ ტიპის ღონისძიებები უფრო მეტად უნდა იმართებოდეს საქართველოში, ერთი მხრივ ეს კარგია გუნდური პრინციპების ჩამოსაყალიბებლად და მეორე მხვრივ საინტერესოა გაეცნო სხვადასხვა ქვეყნის კულტურას, ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს — რაც ესოდენ მნიშვნელოვანია ტურიზმის ინდუსტრიისათვის“.

რედაქტორი:
იოსებ სანიკიძე
სპეციალისტი:
ნესტან მამუჭაძე

სარედაქციო კოლეგია:
იური ბიბილეიშვილი
ბიჭიკო დიასამიძე
მამია ფალავა
ნანა ცეცხლაძე
მერაბ მეგრელიშვილი

გაზეთი დაიბეჭდა
შპს ,,პრეპრინტში''
(532) 293-46-14, 299-98-82
მის: ქ.თბილისი
რუსთაველის 40-40ა